# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 25 ივნისი, 2009 წელი.

№ 127-128 (6228-6229)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.



## ისტორიიდან ვერ ამოშლი!...





## „ყოვლისმცოდნე“

2

## საქართველოს ხელისუფლებაზე არავისი აზრი არ მოქმედებს 4

## აფხაზეთში გაეროს მზე „ჩაესვენა“, რუსეთისა კი „აღმობრწყინდების“ 3

## „ზაფხული ერთად გადავაგოროთ“... 2

## „ვჭირდები კი მე ჩემს ქვეყანას?“ 5



- საააკაშვილის რეჟიმის შენარჩუნება თავად პუტინს სურს 3
- ოპოზიციონერთა შეხვედრების სხვა კადრებს მერაბიშვილი ვერ მოიპოვებს
- ვინ იყო ბერლინის შეხვედრაზე მეოთხე?





## „მე არ მითამაშია როლი, რომელზეც ღამეები არ მეთენებინოს“ 17

პაატა ქურდაძე:

## ჩვენი „სულიერი მისია“ მესაზღვრეობაა... 16



## პოლიციელებმა უდანაშაულოთა დაჭერის ახალი მეთოდი გამოიგონეს! 17

◉ „ყოვლისმცოდნე“ პრეზიდენტი

# ისტორიიდან ვერ ამოშლი!..

ჩვენი დღეები, იმის გარდა, რომ ჰეროიკულ-რომანტიკული სხივით არის მადლმოსილი, იმითაც გამორჩეულია, რომ ენას საბოლოოდ წაეყარა ალვირი და ვისაც რა უნდა იმას არაკუნებს.

ამ „ვისაც რა უნდაში“ ისინიც იგულისხმებიან, რომელთაც საერთოდ ვერ მოუკრავ პირს და ისინიც, რომლებიც ხამუშ-ხამუშ იტყვიან რამეს, მაგრამ თუ იტყვიან, პესტიციდებივით სპობენ ყველაფერს.

და ტელეეკრანებით ვრცელდება, გაზეთებში იწერება აქამდე არსმენილი, თითებიდან გამოწოვილი „ცინცხალი ამბები“ და ისტორიული წიაღსვლები, რომლებიც ამ ელექტრონულ და ბეჭდვურ მედიას მიჭიჭინებულ ზოგ მსმენელ-მკითხველზე ისე მოქმედებს როგორც ძაღლის ნაკბენი, ზოგზე კი — როგორც ფსიქოტროპული პრეპარატი.



ახლა უშუალოდ „საქმეზე“.

რასაც ჩვენს პრეზიდენტს ვერ წაართმევ, ის არის, რომ — მომეტებულად უყვარს ზემოთ ნახსენები ისტორიული წიაღსვლები. თუმცა „უყვარს“ ის სიტყვა როდია.

კი არ უყვარს, პირდაპირ სული მისდის, სანამ რომელიმე ისტორიულ „ფაქტს“ ან მოვლენას მოირგებს ჩოხასავით და „გაითავისებს“.

ამას წინათ „რუსთავი-2“-ის პროგრამა „პოზიციისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა ახალი რებუსი ჩაგვარტყა თავში: ხუთასი წელიწადი (!ძ საქართველოსა და კავკასიაში არ არსებობდა სახელმწიფო(?ძ და ჩვენ შევქმენითო(!ძ იგი.

ეს ითქვა ამაყად, ზარზეიმურად, ვიღაც-ვიღაცეებისთვის სიფათში ჩასაფარებლად.

მაშ ასე: 500 წლის წინათ დაკარგული სახელმწიფო (სახელმწიფოებრიობაძ 2003 წლის 23 ნოემბერს მოუქვია, სული შთაუბერია და ფეხზე წამოუყენებია ნაციონალურ მოძრაობას და მის მამაძუძუს მიხეილ სააკაშვილს.

ვაშა და დიდება მათ ამისთვის, ოღონდ...

ოღონდ აქამდე ასე ვიცოდით: რუსეთის საექსპედიციო ჯარების მიერ 1801 და 1810 წლებში ცალკერძ ქართლ-კახეთის და ცალკერძ იმერეთის სამეფოების „ნებაყოფლობითი“ მოხრჩობის შემდეგ, საქართველოში სახელმწიფოებრიობა 200 წლით მოიშალა, გაუქმდა, განქრა, ანუ „მდაბიურის ენით“ თუ ვიტყვით, თქვენი ჭირი წაიღო.



მანამდე კი წვალებით, ჯახირით, ვაი-ვაგლახით, სისხლითა და ცრემლით, მაგრამ მაინც ეწეოდა უღელს სპარსთაგან, თურქთაგან, ლეკთაგან გვემული საქართველო — დანაწილებული, დაკოდილი და სისხლდაწრეტილი.

ასე თუ ისე ინარჩუნებდა სახელმწიფოებრიობას: ჰქონდა ტერიტორიები, საკუთარი სისხლის და სამოქალაქო სამართალი, მიითვლიდა ბრწყინვალედ მოგებულ ბრძოლებს (რა თქმა უნდა, წაგებულებთან ერთადძ...

და, რაც მთავარია, ჰყავდა თავისი მეფეები, რომელთაგან რამდენიმე მაინც ისეთი იყო, სხვა, უფრო ღონიერი და გონიერი ქვეყნები ინატრებდნენ მმართველებად.



აი რამდენიმე მათგანი:

ლუარსაბ I (1527-1556ძ, რომელიც თანამოძმეთაგან არაერთგზის ღალატის პირობებში მედგრად ებრძოდა ოთხგზის შემოსეულ სპარსეთის შაჰს თამაზს და სისხლიც მრავლად ადინა;

სიმონ I (1556-1600ძ, გარისისა და ხატისსოფლის ბრძოლების გმირი, ქართლიდან ოსმალთა განდევნისათვის დაუღალავი მებრძოლი;

სოლომონ I (1752-1784ძ, თურქთა ზარდამცემი, ტყვეთა სყიდვის ამკრძალავი;

დაბოლოს, საქართველოს უკანასკნელი დიდი ხელმწიფე, ქართლ-კახეთის მეფე (1762-1798ძ, პატარა კახი ერეკლე II, რომელზეც ფრიდრიხ დიდს უთქვამს, დასავლეთში მე ვარ, აღმოსავლეთში კი ერეკლეო, მეფე, რომელთანაც რუსეთის იმპერატორმა ტრაქტატი დადო.

ვითომ სახელმწიფოები არ იყო ლუარსაბის, სიმონის, სოლომონის, ერეკლეს სამეფოები? განა მათ ნაანდერძევ ტერიტორიებს არ გავცემთ დღეს ასე უხვად და უშურველად?

მათ ჰქონდათ სახელმწიფოს ყველა ნიშანი, რაც ასე თუ ისე დღეს გვაქვს, ერთის გამოკლებით: მაშინ უხვად მოგებული ბრძოლების ნაცვლად დღეს მხოლოდ წაგებულით ვიწონებთ თავს, ოღონდ დამარცხებას გამარჯვებად მივითვლით, ამაში მსოფლიოსაც „ვარწმუნებთ“ და ეს „ბეცი“ მსოფლიო რომ არ იჯერებს, დიდად გაოცებული ვრჩებით.

მაშ, რატომ, რა ნიშნით „არ იყო“ ბოლო 500 წელი საქართველოში სახელმწიფოებრიობა, ბატონო მიხეილ?

რატომ „დააბერეთ“ სახელმწიფოებრიობის მოშლა 300 წლით?

რისთვის სჭირდება ისტორიის ეს „შესწორება“ პრეზიდენტს, რომელიც საერთოდ ერთობ თავისუფლად ექცევა ისტორიას და მოულოდნელად ისეთ რამეს გამოჩხრიკავს ხოლმე, კაცს პირს დააღებინებს?

იმიტომ, რომ 2003 წლის ნოემბერში პარლამენტში ნაცმოძრაობულ „ჩაის სმას“ მეტი „ისტორიული ფასი“ დაედოს და „ახალი ერას“ დასაწყისად გასაღდეს?

ამაოდ!

რაგინდ ბევრი ეცადოს, პრეზიდენტი სახელმწიფოს და ხელმწიფობას ვერ მოუშლის ვერც ლუარსაბს, ვერც სიმონს, ვერც სოლომონს და ვერც ერეკლეს, სხვათა შორის, ვერც როსტომს და ვერც ვახტანგ-შაჰნავაზს...

მათ ისტორიიდან ვერ ამოშლი!..

**ალეკო ასლანიშვილი**

◉ ინფორმაცია

## სჯობს დევისმა ხელისუფლება დაარიგოს

**ქართული არასაპარლამენტო ოპოზიციური სპექტრისადმი ხელისუფლებასთან დიალოგზე წასვლის თაობაზე ევროსაბჭოს უკვე ყოფილი გენერალური მდივნის ტერი დევისის მოწოდებას ხელისუფლების მიერ რადიკალურ ოპოზიციად მონათლული პოლიტიკური უმცირესობა უკვე გამოეხმაურა.**

მათი თქმით, ოპოზიცია მზად არის პროცესები მშვიდობიანი ფორმით წარმართოს და უარს არც ხელისუფლებასთან დიალოგზე ამბობენ.

ოპოზიციონერი ლიდერები დევისს ურჩევენ, დიალოგისკენ თავად ხელისუფლებას მოუწოდოს.

თუკი რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაცია და საქართველოში აკრედიტებული ელჩი ნამდვილად დაინტერესებულია ამ ქვეყანაში დიალოგით, დემოკრატიით და სტაბილურობით, მაშინ იგივე რჩევები, რასაც ჩვენ გვაძლევენ მათ შორის დიალოგის შესახებაც, ხელისუფლებას მისცენ, — განაცხადა „საქართველოს გზის„ ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა ტერი დევისის მოწოდებაზე კომენტირებისას.

„ალიანსი საქართველოსთვის“ წარმომადგენელი მანანა ნაჭყებია კი აცხადებს, რომ რა თქმა უნდა საბოლოოდ, მოლაპარაკებით უნდა დამთავრდეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესი, თუმცა, თუკი ვინმე ობიექტურად გააანალიზებს სიტუაციას და მათ შორის ტერი დევისი, მიხვდება, რომ ოპოზიციამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ პროცესები მშვიდობიან ფარგლებში წარმართულიყო და არც მოლაპარაკებაზე უთქვამს უარი.

შეგახსენებთ, რომ ევროსაბჭოს უკვე ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ტერი დევისმა, საქართველოში შექნილ კრიზისულ ვითარებაზე თავის გამოსამშვიდობებელ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. მისი შეფასებით, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი დიალოგია. დევისმა ე.წ. რადიკალებიდან ყველაზე მეტად ნინო ბურჯანაძეს უსაყვედურა და ხელისუფლებასთან დიალოგის მაგიდასთან დაჯდომა ურჩია.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ „რაც ალხანა, ის ჩალხანა“...

# „ზაფხული ერთად გადავაგოროთ“...

**როდესაც აქციაზე მივედი და სცენის წინ შეკრებილი ხალხის რაოდენობას გადავავლე თვალი (სხვათა შორის, მაინცადამაინც არ გამჭირვებიაძ, შემდეგ „ოპტიმიზირებულ“ საკნებსაც გავხედე და სცენაზე მდგარი ერთ-ერთი „მეორე რანგის ლიდერის“ არც თუ ისე მქუხარე გამოსვლაში, ფრაზა „პოზიციური ბრძოლა“ გავიგონე, გასული საუკუნის ცნობილი რადიოდიქტორის იური ლევიტანის მიერ დიდი სამამულო ომის დასაწყისში გადმოცემული ინფორმაციები გამახსენდა.**

წითელი არმიის უკანდახევას, საბჭოთა საინფორმაციო საშუალებები „წინასწარ მომზადებულ პოზიციებზე, ჯარების გეგმაზომიერ და გამიზნულ გადანაცვლებას უწოდებდნენ“.

საბჭოთა კავშირის მაშინდელ ხელმძღვანელებს ნამდვილად ჰქონდათ იმის საშუალება, საკუთარი თავისთვის ასეთი რამის უფლება მიეცათ, რადგანაც მათ ნამდვილად შეეძლოთ როგორც გრძელვადიანი ბრძოლის გეგმის შემუშავება, ასევე არსებული რესურსის მობილიზება და მაქსიმალურად გამოყენება.

ალბათ სისულელე იქნება, დღევანდელი ქართული ოპოზიციის ლიდერები იმ ლიდერებს შევადარო (ხელისუფლებაზე ხომ ლაპარაკიც არ მაქვს. „რაც ალხანა, ის ჩალხანაო“ძ, მაგრამ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აღარ შეიძლება ქვეყანა ასეთ მდგომარეობაში დარჩეს, რეალური გამოსავალია მოსაძებნი და არა „ზაფხულის გადაგორების“ მცდელობა.

რაც არ უნდა იძახონ ოპოზიციის ლიდერებმა სცენიდან, ნათლად ჩანს, რომ აქციებზე სტაგნაციის პერიოდი დადგა და ასეთი მდგომარეობა საკმაოდ ბევრ კითხვას ბადებს.

მაგალითად: საინტერესოა, თუ სად გაქრნენ ის ე.წ. პარტიული აქტივისტები, რომლებიც აქციების საწყის პერიოდში სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების დროშის შესაბამისად შეკერილი მაისურებითა და მეტისმეტად საქმიანი სახეებით დაჰქროდნენ აქეთ-იქით?

სად გაქრნენ ის „ცნობადი სახეები“, რომლებიც საღამოობით სხვადასხვა სახელისუფლებო არხებზე გასულ შოუებში „მარიაჟობდნენ“, ხოლო მეორე დღეს შეწუხებული სახეებით, ლიდერების მისალმების მოლოდინში იდგნენ სცენასთან.

საინტერესოა „ბრძოლის ის ახალი მეთოდები“, რომლებსაც ყოველდღე „გეგმავენ ჩვენი მთავარსარდლები“ და რომელთა გამჟღავნებასაც ყოველ საღამოს გვპირდებიან.

თუმცა ერთი ახალი მეთოდი ნამდვილად გააცხადა ბატონმა კახა კუკავამ: თურმე ახლა ზაფხულია და ცხელა, ამიტომ ცოტა ჭირს რუსთაველზე დგომა, მაგრამ ორ თვეში შემოდგომა მოვა და აგრილდება. აი, მაშინ კი ცუდად წაუვა საქმე ამ ხელისუფლებასო.

აბსოლუტურად ვეთანხმები.

**ახლა ზაფხულია, ზაფხულს შემოდგომა მოსდევს, შემოდგომას ზამთარი. 2009 წლის შემდეგ 2010 დადგება, მერე 2011, მერე 2012 და აი, 2013 წელს კი სადღა წაგვივა სააკაშვილი?**

შესანიშნავი სტრატეგიაა, ვერაფერს იტყვი.

თავს ნამდვილად ვერ დავდებ, მაგრამ რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ხელისუფლებასაც ეს სტრატეგია აქვს არჩეული.

ამ რამდენიმე დღის წინათ აქციაზე 100 000 კაცი იყო, შემდეგ 70 000, შემდეგ 20 000, გუშინ კი ჰა, ჰა, გაწელე-გამოწელე (თუ სასეირნოდ გამოსულ უფულო შეყვარებულებს და „სოდის“ თანამშრომლებსაც მიათვლიძ, ასე 500 კაცამდე იქნებოდა.

რამდენი კაცი მოვა ზეგ?



არ ვიცი, რამდენი კაცი მოვა, მაგრამ ერთი სპექტაკლი გამახსენდა, რომელსაც ადრე, ახალგაზრდობაში დავესწარი... იქ სცენაზე უფრო მეტი ადამიანი იყო, ვიდრე დარბაზში.

და ისევ რიტორიკული კითხვა: რატომ?

პასუხი საკმაოდ მარტივია: იმიტომ, რომ აქცია არ განვითარდა, არ მიიღო ახალი დატვირთვა, არ მიიღო ახალი მიმართულება. ხოლო ის, რაც არ ვითარდება, ჭაობდება, იჟანგება და ბოლოს კვდება.

დროულად არის საჭირო აქციის განახლება. დროულად არის საჭირო ახალი იდეის შემოტანა. დროულად არის საჭირო ახალი, რეალური მოთხოვნების დაყენება, თორემ შეიძლება მართლაც დაიჯეროს ხალხმა, რომ ოპოზიციას ერთი სული აქვს, თუ როდის მოსწყინდებათ იმ ორიოდ პენსიონერს, იმ ზემოთ ნახსენებ შეყვარებულ წყვილებს და „სოდის“ თანამშრომლებს რუსთაველზე მოსვლა.

მართლაც კარგი სიმღერაა „ზამთარი ერთად გადავაგოროთ“...

არა, იმიტომ კი არ არის კარგი სიმღერა, რომ თუ სიტყვა „ზამთარს“ „ზაფხულით“ შეცვლი, ჩვენს დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციას ზუსტად ასახავს.

არა, უბრალოდ კარგი სიმღერაა და არა მარტო მე, ბევრ მსმენელსაც ძალიან მოსწონს.

**გია გაბრიჭიძე**

დისკუსია

# აფხაზეთში გაეროს მზე „ჩაესვენა“, რუსეთისა კი „აღმობრწყინდების“



**გაეროს სამეთვალყურეო მისია საქართველოში შეწყდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ გაეროს უშიშროების საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა. ყველამ იცოდა, რომ რუსეთის ხისტი პოზიციის გამო ეს დღე აუცილებლად დადგებოდა, უხეშად თუ ვიტყვით, რუსეთი გაეროს აფხაზეთის ტერიტორიიდან დიპლომატიურად „გააძევებდა“ და „გააძევა“ კიდეც.**

რამდენიმე დღეში ეუთოს მსგავსად, გაეროს წარმომადგენლებიც დატოვებენ საქართველოს და გულდათუთქულები გამოსამშვიდობებლად ჯილდოებისა და ორდენების გადასაცემად მოვემზადებით. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ კონკრეტულად ვერავინ ამბობს, რა მისიას ასრულებდნენ გაეროელები ჩვენში, რით დაიცვეს მოსახლეობა, რისი გაკეთება შეძლეს ჰუმანიტარული ტვირთით მომარაგების გარდა. ამერიკისა თუ ევროპის ცის ქვეშ დაწერილ რეზოლუციის ტექსტებში გაეროს ფუნქცია მშვიდობისმყოფელური იყო, რომელსაც სტაბილურობა უნდა მოეტანა კონფლიქტური რეგიონისთვის, თუმცა კი მშვიდობა და სტაბილურობა თვითონაც არაერთხელ გაუხდათ სანატრელი (თუ გავიხსენებთ მათი გატაცების, ვერტმფრენის ჩამოგდების თუ სხვა ინციდენტებს).

**და მაინც, ოფიციალური თუ არაოფიციალური სტრუქტურები ჯიუტად იმეორებენ, რომ გაეროს სამეთვალყურეო მისია იყო მძლავრი მექანიზმი, ხოლო უშიშროების საბჭოს ყველა ოფიციალურ დოკუმენტში აღიარებული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.**

გაეროს მისიის შესახებ იმსჯელეს **„თავისუფალი აზრის სახლში“** მოწვეულმა ექსპერტებმა, პოლიტიკოსებმა და პოლიტოლოგებმა.

საინტერესო იყო საერთაშორისო ურთიერთობების დარბაზის ხელმძღვანელის, ყოფილი დესპანის **გია ვოლსკის** მოსაზრებები. მისი თქმით, ჯერ კიდევ თებერვალში გაეროს გენერალურ მდივანს თხოვნით მიმართეს აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის ხელმძღვანელებმა, რომ სწორედ გაერო ჩასდგომოდა სათავეში სამშვიდობო მისიას. ეს იმიტომ, რომ აფხაზების არჩევანი არ იყო რუსეთთან ერთი-ერთზე დარჩენა. გია ვოლსკი საგანგაშოს ვერაფერს ხედავს პან გი მუნის ბოლო მოხსენებაში, სადაც აფხაზეთთან ერთად არ იყო ნახსენები საქართველო, რადგან მისი აზრით, ეს მართლაც იყო შუალედური, თუმცა დიპლომატიურად კარგად გათვლილი ნაბიჯი იმისთვის, რომ გაერო რეგიონში დარჩენილიყო. სამაგიეროდ, მნიშვნელოვანი იყო, რომ ეს მოხსენება ეყრდნობოდა უწინ მიღებულ რამდენიმე რეზოლუციას (მათ შორის რეზოლუცია 18.08-ძ, სადაც ერთმნიშვნელოვნად არის აღიარებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, თვით რუსეთის მხრიდანაც კი.

ეს მოხსენება თავიდან სწორად იყო აღქმული და ახსნილი გაეროში საქართველოს ელჩის ალექსანდრე ლომაიას მიერ, მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტროს და საზოგადოების მხრიდან გამოთქმული გულისწყრომის შემდეგ, მან პოზიცია შეცვალა. შეცვალა კი არადა, გადაამეტა კიდეც...

ლომაიამ პირდაპირ მიუთითა, რომ მოხსენების კორექტირება რუსეთის შანტაჟის ქვეშ მოხდა, რასაც პან გი მუნის ასეთი პასუხი მოჰყვა: „სამწუხაროდ, სტაბილიზაციის მისია არ შედგა“.

ლომაიას განცხადების შემდეგ რუსეთის წარმომადგენელი ვიტალი ჩურკინი იღებს სიტყვას და ამბობს, ჩვენ მზად ვიყავით მანდატის შესათანხმებლად, ვეთანხმებოდით რა ყველა რეზოლუციას, მიღებულს უშიშროების საბჭოს მიერ. ქართველების პოზიცია კი ასეთი იყო, თუკი ამ ბოლო დოკუმენტშიც არ იქნება ნახსენები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, მაშინ რეზოლუცია არ მიიღებაო. გია ვოლსკი ფიქრობს, რომ უმჯობესი იქნებოდა ნეიტრალური დოკუმენტი შეგვენარჩუნებინა, რასაც ოპოზიციის მკაცრი კრიტიკა მოჰყვებოდა, იმის მიუხედავად, რომ იქ არაფერი იყო გასაკრიტიკებელი.

ექსპერტთა ნაწილი თითქოს ამ პოზიციას დაეთანხმა. მაგალითად, დიპლომატთა ასოციაციის თავმჯდომარე **გიორგი ბაღათურიამ** გულისწყრომით აღნიშნა, რომ **რეზოლუციებში ხაზი აქვს გასმული ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ იქ მცხოვრები ხალხის, ან ლტოლვილთა ინტერესები გათვალისწინებული არ არის. ჩვენ მათი ბედი არ გვაღელვებს, ამიტომაც ყველა რეზოლუცია წარუმატებელი იყო და იქნება კიდეც,** — დასძინა მან.

ამ მოსაზრებას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის **ადა მარშანიას** კომენტარი მოჰყვა. დეპუტატმაც თქვა, რომ **არსად, არც ერთ დოკუმენტში არ ჩანდა, რომ 350 ათასი დევნილი, ანუ აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა არ ითხოვდა აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ჩვენ დავდივართ სეპარატისტების კაპრიზებზე, მაგრამ სხვადასხვა ეთნიკური მოსახლეობის პოლიტიკური ნება ვერ დავანახეთ მსოფლიოს,** — შენიშნა ადა მარშანიამ.

სამხედრო ექსპერტმა **თორნიკე შარაშენიძემ** თქვა, რომ **საქართველო ყოველთვის წაგებულის მდგომარეობაშია, რეალობა კი მძიმეა, ამიტომ გაეროს მისიის შენარჩუნების საკითხს უფრო პრაგმატულად უნდა მისდგომოდა ხელისუფლება.**

დისკუსია საკმაოდ ხანგრძლივი და მწვავე გამოდგა.

საქართველოს ხელისუფლების პოზიციას საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი **შალვა ცისკარაშვილი** იცავდა. ის მაინც ჯიუტად ამტკიცებდა, რომ გენერალური მდივნის მოხსენებამ დაიგვიანა, რითაც ისარგებლეს რუსებმა და მოხდა შანტაჟი. **„ჩვენ ვთავაზობდით გენერალურ მდივანს საქართველოს ოკუპირებული ზონების დემილიტარიზაციას, ვთავაზობდით 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დოკუმენტის გათვალისწინებას და ასევე, საპოლიციო კომპონენტის მობილიზაციას ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რაც, სამწუხაროდ, პან გი მუნმა არ გაითვალისწინა, — თქვა დიპლომატმა, — ბოლო მოხსენებაში არ იყო აღნიშნული 12 აგვისტოს მიღებული შეთანხმების მნიშვნელობა, პირველად მოხდა ტერმინოლოგიური ცვლილება, რასაც პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა და გულისხმობდა ახალი მისიის დაფუძნებას აფხაზეთში. პან გი მუნი უშვებდა შესაძლებლობას, რომ რუსების ჯარების განლაგება ამ ტერიტორიაზე ნებადართული ყოფილიყო“.**

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## სააკაშვილის რეჟიმის შენარჩუნება თავად პუტინს სურს

**დავით გამყრელიძე** გერმანიაში საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ კახა თარგამაძესთან შეხვედრას ადასტურებს.

როგორც „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა განაცხადა, 17 ივნისს ნამდვილად იმყოფებოდა ბერლინში, სადაც ლევან გაჩეჩილაძესთან ერთად კახა თარგამაძეს შეხვდა.

— ამაში დასამალი არაფერია. ვადასტურებ იმასაც, რომ ძალიან საინტერესო ინფორმაცია მივიღე კახა თარგამაძისგან. სწორედ მისგან გავიგე საგანგაშო ცნობა იმის შესახებ, რომ პუტინი აქტიურად მუშაობს სააკაშვილის რეჟიმის შესანარჩუნებლად, რადგან ეს მისთვის მომგებიანია. სწორედ ამ პოლიტიკის შედეგია ის ფაქტი, რომ რუსეთში მოღვაწე ყველა ქართველ ბიზნესმენს ოპოზიციის დაფინანსება აეკრძალა, — განაცხადა გამყრელიძემ.

შეკითხვაზე, საიდან აქვს კახა თარგამაძეს ინფორმაცია, თუ რას კრძალავს და რა ინტერესები აქვს რუსეთის პრემიერ-მინისტრს, გამყრელიძემ განაცხადა, რომ თარგამაძეს თავად აქვს ბიზნესი რუსეთში და ბევრ ქართველ ბიზნესმენსაც იცნობს.

დავით გამყრელიძე აცხადებს, რომ ჰქონდა შეხვედრა ზურაბ ნოღაიდელთან და ირაკლი ოქრუაშვილთანაც და მზად არის, გივი თარგამაძეს და ვანო მერაბიშვილსაც შეხვდეს, თუ ამას ქვეყნის ინტერესები მოითხოვს.

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი დავით გამყრელიძე მოითხოვს, რომ საქართველოს შს სამინისტრომ, კახა თარგამაძესთან შეხვედრის ამსახველ კადრებთან ერთად, ხმის ჩანაწერიც გამოაქვეყნოს.

— მივმართავ მერაბიშვილს, რომ ამ კადრებთან ერთდ, გამოაქვეყნოს ხმის ჩანაწერიც, რადგან იქ კარგად ჩანს, რა თემებზე ვსაუბრობთ. საზოგადოება ბევრ საინტერესო ინფორმაციას მოისმენს, თუ რა ხდება რუსეთის ხელისუფლებასა და სააკაშვილს შორის; რა ხდება რკინიგზასთან დაკავშირებით და ა.შ, — განაცხადა გამყრელიძემ.



მისივე თქმით, ფარული ჩანაწერის გაკეთება ამ შეხვედრასთან დაკავშირებით საერთოდ არ იყო საჭირო, რადგან ლევან გაჩეჩილაძეს, დავით გამყრელიძესა და კახა თარგამაძეს შეხვედრის დამალვა არ უცდიათ.

## ოპოზიციონერთა შეხვედრების სხვა კადრებს მერაბიშვილი ვერ მოიპოვებს

**ოპოზიციის** ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრ კახა თარგამაძესთან ბერლინში შეხვედრა დაადასტურა.

— ჩვენ შევხვდით კახა თარგამაძეს და ბევრ საკითხზე ვისაუბრეთ, მათ შორის: ვინ აფინანსებდა თავის დროზე მიხეილ სააკაშვილს, ხელისუფლებიდან ვის რა კონტაქტები აქვს რუსეთთან და როგორ ცდილობენ, საქართველო გაყიდონ, — აღნიშნა გაჩეჩილაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

მისივე განცხადებით, ექსმინისტრთან ოპოზიციის დაფინანსებაზე საუბარი არ ჰქონია და ამ საკითხზე სხვა პირებათან ისაუბრა, რომლებსაც ევროპაში ვიზიტის დროს შეხვდა.

— კიდევ ბევრ ადამიანს შევხვდი და დაფინანსების საკითხი სხვებთან განვიხილეთ. ამ შეხვედრების ვიდეოკადრებს კი ვანო მერაბიშვილი ვერ მოიპოვებს. თუ ვინ არიან ისინი, მას შემდეგ ვიტყვი, რაც დამაფინანსებენ. ისინი არიან ქართველებიც, არაქართველებიც, მაგრამ რუსები არ არიან, — განმარტა ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა.

## ვინ იყო ბერლინის შეხვედრაზე მეოთხე ადამიანი?

**საქართველოს** ყოფილ შს მინისტრთან კახა თარგამაძესთან ბერლინში გამართულ შეხვედრას „ეროვნული ფორუმის“ წევრის ირაკლი მელაშვილის ძმა მიშა მელაშვილიც ესწრებოდა.

იმ ადამიანის შესახებ ინფორმაცია, რომელიც შეხვედრის ამსახველ ვიდეომასალაში გარკვევით არ ჩანს, ჟურნალისტებს „მემარჯვენეების“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ მიაწოდა.

— მეოთხე ადამიანი, რომელიც შეხვედრას ესწრებოდა, იყო მიშა მელაშვილი, ჩემი და ლევანის ახლო მეგობარია და შეხვედრაზეც სწორედ ამ სტატუსით იმყოფებოდა, — განაცხადა გამყრელიძემ.

## წინასწარ დასკვნების გაკეთება არასწორია

**„ქრისტიან-დემოკრატების“** ლიდერს გიორგი თარგამაძეს ბერლინში გამართულ შეხვედრაზე წინასწარ რაიმე შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება არასწორად მიაჩნია.

გიორგი თარგამაძე ბერლინში გამართული შეხვედრის მონაწილეების კომენტარს ელოდება, რომლის შემდეგაც დამატებითი შეფასებების გაკეთება გაუადვილდება.

— რამდენადაც ვიცი, კახა თარგამაძე ძებნილი პირი არ არის, ქართველ სამართალდამცავებს მის მიმართ მსგავსი პრეტენზია არ წაუყენებიათ. ეს ადამიანი, გადაადგილდება მთელ მსოფლიოში და მასთან შეხვედრის უფლება ყველას აქვს. თუმცა, როდესაც საუბარია პოლიტიკური ლიდერების შეხვედრაზე, განსაკუთრებით საქართველოში ოპოზიციური მოძრაობის დაფინანსების მოლოდინის კონტექსტში, გაჩნდება კითხვები, რომლებზეც პასუხს საზოგადოება მოისმენს თავად ამ შეხვედრის მონაწილეების მხრიდან. წინასწარ რაიმე შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება ჩვენს მიერ არასწორი იქნებოდა, — განმარტა გიორგი თარგამაძემ.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

გლობუსი

# საქართველოს ხელისუფლებაზე არავისი აზრი არ მოქმედებს

საქართველოს ხელისუფალთა დაჟინებული განმარტებით, გაეროს დამკვირვებელთა მისიისთვის უფლებამოსილებათა შეწყვეტა რუსეთის მორიგი ანტიქართული პოლიტიკის გამოძახილია, რომელსაც საქართველო სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური მუშაობას დაუპირისპირებს და მათი დახმარებით შეძლებს იმის მიღწევას, რაც გაეროს დამკვირვებლების მისიით ვერ განხორციელდა. განსაკუთრებული იმედი გამოითქვა ევროკავშირის მისამართით, მათი დამკვირვებლებისათვის არეალის გაფართოების თაობაზეც.

**გაეროს დამკვირვებლების მუშაობა თითქმის საქართველოს დამოუკიდებლობის ტოლია. 15 წლის განმავლობაში მათ მიმართ არაერთი საყვედური გამოითქვა, როგორც წინა ხელისუფლების, ისე ამჟამინდელის მხრიდან. მთლიანობაში გაეროს კრიტიკას შევარდნაძის დროს ჩაეყარა საფუძველი., რომელსაც სხვაგვარი სული შთაბერა მისმა შემცვლელმა სააკაშვილის ხელისუფლებამ. შევარდნაძის თავშეკავებული კრიტიკა, შეურაცხყოფაში გადასულმა სააკაშვილის რიტორიკამ შეცვალა. გაეროს მიმართ ახალი გამოხდომები აღინიშნა სააკაშვილის განცხადებაში გაეროს გენერალური**




**მდივნის პან გი მუნის მოხსენებასთან დაკავშირებითაც. განსაკუთრებით თვალშისაცემი გამოდგა მისეული შეფასება რუსეთის შანტაჟით დაწერილი მოხსენების თაობაზე. გაეროს სამდივნოს მხრიდან რეაქცია იყო მყისიერი და დამაფიქრებელი, თუმცა ვეჭვობ, რომ ხელისუფლებიდან ამით ვინმე დაფიქრებულიყო, რაც კარგად ჩანს მათი განცხადებებიდან.**

ქვეყნის პრეზიდენტს, რომ იმთავითვე არასერიოზული დამოკიდებულება და წარმოდგენა ჰქონდა და აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით, გაეროსთან მიმართებაში, არახალია. ის არცთუ იშვიათად დამცინავადაც მოიხსენიებდა როგორც ამ ორგანიზაციას, ისე მის გენერალურ მდივნებს კოფი ანანსა და პან გი მუნს, რაც არ უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან ქართული პოლიტიკა იყო და რჩება ცალმხრივობის და არა მრავალმხრივობის მიმდევრად. ის დაეჩვია კვერცხების ერთ ბუდეში დებას, რაც თანამედროვე საერთაშორისო სარბიელზე მარცხის ტოლფასია, განსაკუთრებით პატარა ქვეყნისთვის. ვაშინგტონზე ორიენტირებული სააკაშვილი და მისი თინეიჯერული „გუნდი“ არაფრად მიიჩნევდა და მიიჩნევს ევროპის დიდ სახელმწიფოებსაც კი, რომ აღარაფერი ითქვათ საერთაშორისო ორგანიზაციებზე.

ცალმხრივობაში გარკვეული წვლილი თვით სააკაშვილის ამერიკელ მასწავლებლებსაც მიუძღვით. ბუშის ადმინისტრაციის პირობებში ვაშინგტონის დამოკიდებულება ევროპული პარტნიორებისადმი ზერელე და ქედმაღლური იყო. ამ თვალსაზრისით არც საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის გაეროსადმი დამოკიდებულება გამოირჩეოდა. ბუში და მისი წინამორბედები სისტემატურად მიმართავდნენ გაეროს უშიშროების საბჭოს უმთავრესი პრინციპის ომისა და მშვიდობის საკითხების გაეროს გვერდის ავლით მოგვარებას. ვაშინგტონის მხრიდან იშვიათობას არ წარმოადგენდა არც ორგანიზაციის კრიტიკა და არც საწევრო გადასახადის შეჩერება. მაგრამ ის, რაც მსოფლიო ლიდერს შეიძლება ეპატიოს, თუმცა გაეროს წესდებით გამონაკლისები არ არსებობს, არ ეპატიება სხვას, მით უმეტეს, ისეთ ჩამოუყალიბებელ და ნახევრად შემდგარს, როგორიც საქართველოა.

ბუშის ადმინისტრაციის დიდი პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ნახევარი წელი გავიდა. ობამას ადმინისტრაცია გულმოდგინედ ცდილობს წინამორბედის რვაწლიან ქედმაღლურ პოლიტიკას გაემიჯნოს, იმას, რამაც ამერიკელებს საფუძვლიანად შეურყია საფუძველი, როგორც შინ, ისე გარეთ. ობამა ცდილობს შორს დადგეს იმ პოლიტიკისგან, რომელმაც ამერიკელთა მიმართ არა მარტო ეჭვი, არამედ ზოგან ზიზღიც კი გამოიწვია. სააკაშვილის მოქმედება ერთი რაიკომის მდივნის მოქმედებას წააგავს, რაც ანეკდოტივით დღემდე შემორჩა. რაიკომის მდივნად დარჩენის მოსურნეს ქვეყნის მაშინდელი ლიდერისთვის ვასილ მჟავანაძისათვის მიუმართავს — ხალხი რას იტყვისო, უპასუხია მჟავანაძეს. გათავხედებულ მდივანს უმალ მიუგია — მთავარია თქვენი აზრი, ხალხს ვინ ჰკითხავსო. სააკაშვილიც ძველებურად აზროვნებს — მთავარია თეთრი სახლის აზრი, გაეროს ან სხვას ვინ ჰკითხავს. სააკაშვილი ვერ გრძნობს ან არ სურს იგრძნოს დღევანდელი ადმინისტრაციის განწყობა. ის იბრძვის და მაქსიმალურად ცდილობს კონგრესს შემორჩენილი ბუშელების, სხვა პოლიტიკოსების დახმარებით საკუთარი პოზიციების გამყარებას. თუ რამდენად მოახერხებს ამას, უახლესი მომავალი გვიჩვენებს. ის დარწმუნებულია, რომ ობამას განსხვავებული პოლიტიკის მიუხედავად, პრიორიტეტული მაინც ამერიკის ინტერესებია, რომელიც არ დაუშვებს საქართველოს ხელისუფლების გარიყვას.

უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთის მხრიდან ვეტოს უფლების გამოყენება პირდაპირი მნიშვნელობით ნაკლებად უკავშირდება გაეროს სამდივნოს ან გენერალური მდივნის განაწყენებას, რაც სააკაშვილის არაობიექტური, ქარაფშუტული განცხადებების ნაყოფია, მაგრამ ორგანიზაციის სამზარეულოში, რომელშიც მსოფლიოს თითქმის 200 ქვეყნის პოლიტიკური მისწრაფებები, მოსაზრებები, ამბიციები, მიზნები ირევა, საგრძნობი, ნეგატიური კვალი დაამჩნია. მან საქართველოსთვის არასახარბიელო ატმოსფერო შექმნა.

საერთაშორისო საკითხებში გამოუცდელ და საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილ ქართულ პოლიტიკა-მედიას ბოლო კვირის განმავლობაში ისეთი საკითხიც აწუხებდა, როგორიცაა რუსეთისთვის ვეტოს უფლების ჩამორთმევა.

**მკითხველს შევახსენებ, რომ ვეტოს პრინციპი 1945 წლის იალტის და სანფრანცისკოს კონფერენციებზე სსრკ-ს, აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელების მიერ არის შემუშავებული. წესდების თანახმად, საპროცედურო საკითხების გარდა, ყველა საკითხი მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს უჭერს უშიშროების საბჭოს მუდმივი და არამუდმივი 15 წევრიდან 9, მათ შორის ყველა მუდმივი წევრი. არის ერთი გამონაკლისიც — საკამათო საკითხის განხილვისას, საბჭოს მუდმივი თუ არამუდმივი წევრი, რომელიც კამათში არის მხარე, თავს იკავებს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან. მიუხედავად ქართული მხარის მრავალწლიანი, დაჟინებული ძალისხმევისა, მსოფლიოს საზოგადოება დაერწმუნებინა რუსეთის მხარეობაში, ანუ იმაში, რომ საქართველოს არა აფხაზეთი, არამედ რუსეთი ეომებოდა, მარცხით დასრულდა. უშიშროების საბჭოს სხდომაზე არა მარტო რუსეთი იყო წინააღმდეგი, არამედ ჩინეთიც, რომელმაც თავი შეიკავა და 4 სხვა არამუდმივი წევრიც. საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის განმარტებით ვეტოს დამდები რუსეთი საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა. საკითხავია, ვინ უფრო მეტად — საქართველო თუ რუსეთი? მან ისიც გვაუწყა, რომ ვეტოს უკიდურეს შემთხვევაში იყენებენ, ვეტოს უფლება ბირთვული ბომბის გამოყენების უფლებას ჰგავს, როდესაც გაქვს და არ იყენებო. მიუხედავად ამგვარი შედარებისა, იქნებ დაეზუსტებინა მინისტრს რამდენჯერ მიმართა ვეტოს საქართველოს „სტრატეგიულმა პარტნიორმა“ აშშ-მა და მოექცა თუ არა ის მსოფლიო იზოლაციაში?**

**რაც შეეხება რუსეთისთვის ვეტოს უფლების ჩამორთმევას, ისეთივე აბსურდულია, როგორც გაეროს გაუქმება. ამაზე ფიქრისა და ოცნების ნაცვლად უმჯობესი იყო უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციების შესრულება და არა მათი აუგად მოხსენიება ისე, როგორც ამას აკეთებდა მინისტრი იაკობაშვილი — წერონ და იკითხონ. გაეროს წესდებით, გაეროს წევრები თანხმდებიან დაემორჩილონ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს და შეასრულონ ისინი (მუხლი 25). ჩვენდა სავალალოდ უნდა ითქვას, რომ საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციები ჩვენს მიერ უგულებელყოფილი იყო. მარტო კოდორის მილიტარიზაცია რად ღირს?**

გაერო და მისი უშიშროების საბჭო სადამსჯელო ორგანო არ არის. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეგნებულ საზოგადოებაზეა გათვლილი. ის რეკომენდაციებით (არა დაძალებით) ცდილობს მიზნის მიღწევას, რასაც ხშირ შემთხვევაში ახერხებს კიდევაც. გაერო ეხმარება მხარეებს საერთო ენის გამონახვაში, კონფრონტაციიდან დიალოგზე გადასვლაში, მაგრამ ის ვერაფერს გახდება თუ მხარეებს არ გაუჩნდათ ამის სურვილი, რასაც ჰქონდა ადგილი საქართველოსთან მიმართებაში. გავიხსენოთ ბოდენის გეგმა და მისდამი ქართული მხარის არასერიოზული დამოკიდებულება.

**საქართველოს გუშინდელი და დღევანდელი ხელისუფლებისთვის ტრადიციად იყო და არის თავის მართლება, სხვისი დადანაშაულება, რასაც არა მარტო გაეროს მიმართ, არამედ რუსეთის მიმართაც სისტემატურად ჰქონდა და აქვს ადგილი. რუსეთის ცოდვების ჩამოთვლა საქმეს არ შველის. იქნებ სხვაგვარი აზროვნება, მიდგომაა საჭირო? იქნებ ყველა დროს და ყველაფერში თავის მართლება მარცხის ტოლფასია? ის რომ, რუსეთი, როგორც აშშ-ი საკუთარი სტრატეგიული მიზნების მსურველია, გასაკვირი არაფერია, მაგრამ გასაკვირი ორთა ჭიდილში თავის გაყოფა, საკუთარი უგუნური მოქმედებით ქვეყნის გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენებაა.**

დღეს, ვერც ერთი ქვეყანა რა ზომისაც არ უნდა იყოს, რა სიმდიდრეებსაც არ უნდა შეიცავდეს მისი წიალი, წარმატებული ვერ იქნება, თუ ის იზოლირებულია დანარჩენ მსოფლიოსგან. წარმატების პირველი საწინდარი მეზობლებთან დამოკიდებულებაა. ამ მხრივ საქართველოს ცოტა რამ აქვს დასაკვეხნი. რუსეთთან მრავალწლიანმა ქიშპობამ უდიდესი ეკონომიკური და, აქედან გამომდინარე, სოციალური ზარალი მიაყენა საქართველოს. რუსეთის უკიდეგანო ბაზარზე დაბრუნებას, ურთიერთობის გამოსწორების შემთხვევაშიც, არაერთი წელი დასჭირდება. ამერიკაში ჩემოდნით წაღებული ღვინოები კი ეკონომიკური თვალსაზრისით მიზერია. პრეზიდენტისეული მოსაზრება საქართველოს დღევანდელ და ხვალინდელ დღესთან დაკავშირებით უტოპიურია. სხვას ვერაფერს იტყვი პრეზიდენტის ნათქვამზე, რომ მსოფლიოს პოლიტიკის ბედი საქართველოში იჭედება. რომ რუსეთს საქართველო უფრო აინტერესებს, ვიდრე ირანი და სხვა ქვეყნები ერთად ალებული. როგორც ჩანს პრეზიდენტს ჰგონია, რომ ირანი ან სხვა რუსეთს ეკუთვნის. ის ერთი წუთითაც ვერ უშვებს იმ აზრს, რომ საკუთარი ინტერესების, ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად რუსეთსაც აქვს უფლება ეჭვის თვალით შეხედოს ამერიკის გაფართოებას რუსეთის საზღვრებისაკენ, როგორც დასავლეთით, ისე სამხრეთით. არც ის არის გასაკვირი, რომ ეჭვიანობას ქმედება მოჰყვეს, თუნდაც ისეთი, რასაც გასული წლის აგვისტოში ჰქონდა ადგილი. აშშ-ს სტრატეგიული მიზნებით შეწუხებულ რუსეთს ჩვენთვის არასახარბიელო ნაბიჯის გადადგმაც შეუძლია.

**ამერიკელთა სტრატეგიული მიზნები — რუსეთის შევიწროება ბალტიის ზღვაზე, მისი დაჩაგვრა შავ ზღვაში ნატოში საქართველოსა და უკრაინის შეყვანით, მისი ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში ჩაკეტვა, რუსეთის მხრიდან სერიოზულ რეაქციას იწვევს. ბჟეზინსკის მიხედვით რუსეთი არასაჭირო, ზედმეტ ქვეყნად უნდა გადაიქცეს. ეს მიზნები ლამაზი სიტყვებით — პარტნიორობა, აშშ-ნ და ნატოსთან ახალი ურთიერთობებით იფარება. შეეგუება რუსეთი? ძნელი დასაჯერებელია. რუსეთ-ამერიკის დიალოგის მიუხედავად, კულუარული დაპირისპირება გაგრძელდება პერიოდული სიმწვავით, რაც „მსოფლიოს პოლიტიკის ცენტრს“, საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს.**

**რაც უფრო დრო გადის, სულ უფრო მტკიცდება მოსაზრება, რომ საქართველოს ხელისუფლებაზე არავისი აზრი არ მოქმედებს. მისი პოლიტიკა შეუვალია, მისთვის სხვათა აზრი მიუღებელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ღირს სახელგანთქმული პოეტის, მწერლის, საზოგადო მოღვაწის ფრიდონ ხალვაშის სიტყვების გახსენება: „ახლა ქართულ ხელისუფლებას მივმართავ: კაცო, ხედავ და გესმის რას აცხადებს გერმანიის კანცლერი? რუსეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორიაო. ამას ამბობს გერმანია. ჩვენ?! რუსეთთან სასიკეთო ურთიერთობებზე უარის თქმა საბედისწერო შეცდომაა ჩვენთვის“.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

დისკუსია

# აფხაზეთში გაეროს მზე „ჩაესვენა“, რუსეთისა კი „აღმობრწყინდების“

(მესამე გვერდიდან)

დიპლომატი ამბობს, რომ პან გი მუნის შემოთავაზება ასეთი იყო: უსაფრთხოების ზონის 12 კილომეტრზე ჩადგებოდა გაეროს 600 პოლიციელი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მოხვედრილიყვნენ რუსეთის ე. წ. საზღვრის დამცველებიც.

მეორე იქნებოდა შეზღუდული შეიარაღების ზონა, ასევე 12 კილომეტრი, სადაც არ სახელდებოდა რაოდენობა, თუ რამდენ სამხედრო პირს ჰქონდა იქ განთავსების უფლება. ეს თავისთავად გულისხმობდა იმას, რომ რუსეთს შეუზღუდავად შეეძლებოდა იქ შეიარაღებული პირების შეყვანა, ხოლო გაერო უძლური გახდებოდა, მოეთხოვა კონტინგენტის შეზღუდვა.

ჩვენ ვითხოვდით არა რაიმე ლიმიტის დაწესებას, არამედ ამ რეგიონის დემილიტარიზაციას, — აღნიშნა საგარეო უწყების წარმომადგენელმა, — გაეროს მისიის შენარჩუნება მნიშვნელოვანი ამოცანა იყო, მაგრამ შენარჩუნება არ ნიშნავდა სუვერენიტეტის დაკნინების ხარჯზე დათმობას.

**ქართული მხარე გარიგებაზე არ უნდა წასულიყო იმისთვის, რომ რუსეთის საოკუპაციო ჯარებისთვის რაიმე ლეგიტიმური უფლება მიეცა აფხაზეთში დასარჩენად. არაფორმალური მოლაპარაკებების დროს რუსეთი ცდილობდა, რამენაირად მომხდარიყო აფხაზეთში მათი ყოფნის ლეგალიზაციის ასახვა უშიშროების საბჭოს დოკუმენტში, სწორედ ამის გამო, რაიმე კომპრომისული ვარიანტის გამოძებნა რთული იყო, — აღნიშნა დიპლომატმა.**

რაც იყო, იყო. ფაქტია, რომ საქართველოში ეუთომ დაამთავრა მუშაობა, გაერო იხურება, მაგრამ რა იქნება შემცვლელი მექანიზმი, ჯერ არავინ იცის. აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობა რუსეთის ანაბარა დარჩა, რომელიც თავის სამხედრო ინტერესებს ლობირებს და საერთო არაფერი აქვს მშვიდობასთან, ტერიტორიის მილიტარიზაციას კი დაჩქარებული ტემპით აგრძელებს.

ჩვენი ხელისუფლებაც აღიარებს, რომ იქ დარჩენილი მოსახლეობა რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, მაგრამ ასევე დასძენს, რომ ჩვენი ვალია, შევეცადოთ მათი უფლებების დაცვას. როგორ და რანაირად? — ამ კითხვაზე უტყუარი და უცდომელი პასუხი ხელისუფლებას არ აქვს!

**სამაგიეროდ, რუსეთის ხელისუფლება „გონივრულად“ მოქმედებს. ამბობენ, რომ რუსი ჩინოვნიკები მოსახლეობას ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ჰპირდებიან და სოციალური ყოფის მოგვარებაზე აკეთებენ აქცენტს. ჰპირდებიან სკოლების, საავადმყოფოების, ახალი საცხოვრებელი სახლების აშენებას და დასაქმებას. ამას წინათ კი, პედაგოგების გადასამზადებლად მოსკოვიდან ჩამოიყვანეს სპეციალისტები, ხოლო გალში ექიმებმა უფასო გამოკვლევები და ოპერაციებიც კი ჩაუტარეს ადგილობრივებს.**

**16 წლის გაუსაძლისი და უკიდურესად შეჭირვებული ცხოვრების შემდეგ, სულ ცოტაოდენი სულის მოთქმაც კარგია. კომფორტი ისეთი სატყუარაა — რა მნიშვნელობა აქვს, ვინ შეგიქმნის მას — რუსი, აფხაზი, ქართველი თუ ამერიკელი... იქ დარჩენილ მოსახლეობას ელემენტარულად მშვიდი ძილი ენატრება, არათუ მშვიდი ცხოვრება...**

თეა მოსია

SOS!

**ამ სათაურით გამოქვეყნდა 1994 წლის 7 სექტემბერს გაზეთ „იზვესტიაში“ ნობელის პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს ალექსანდრე პროხოროვის ინტერვიუ, რომელიც არასდროს მალავდა თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას 90-იანი წლების დამანგრეველი გარდაქმნების შესახებ.**

გამოქვეყნებულ ინტერვიუში, ის ამბობდა:

„დღეს მეცნიერებაში ჩვენ წინა წლების განმავლობაში დაგროვილი მარაგით ვარსებობთ, როცა ჩვენს მეცნიერებას მრავალი მიმართულებით მოწინავე პოზიციები ეკავა... მაგრამ ჩქარა ეს მარაგი გამოილევა... და ეს, რასაკვირველია, რუსეთის ავტორიტეტზე აისახება, რომელსაც პირველხარისხოვანი მეცნიერების გარეშე მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გარდაქმნა ელის. მეცნიერების გარეშე რუსეთის აღორძინება არ მოხდება. ფუნდამენტალურ მეცნიერებებში პუბლიკაციების რაოდენობა განუხრელად მცირდება, ეს კი ცხადად მოწმობს, რომ ჩვენ ძირს ვეშვებით. თვით მეცნიერები საზოგადოების ფრიად პატივსაცემი ფენიდან ლუმპენებში გადავიდნენ და თუ ბიზნესმენებს „ახალ რუსებს“ უწოდებდნენ, ჩვენ „ახალი ღარიბები“ ვართ. საქმე იმაში კი არ არის, რომ დღეს მეცნიერებს ღატაკის შესაფერისი ხელფასი აქვთ, გაუსაძლისი ხდება სამუშაო პირობები. მეცნიერებას უბრალოდ ახრჩობენ“.

მართლაც, ანაზდად დავფიქრდები: **„ვჭირდები კი მე ჩემს ქვეყანას?“**

უნივერსიტეტს მე ნამდვილად არ ვჭირდები, რადგან ფიზიკის ფაკულტეტზე მოსული ახალგაზრდების დიდი უმრავლესობის დონე მეშვიდეკლასელის დონეს არ აღემატება. ალბათ სხვა დარგებშიც დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა და რა დონეზე უნდა წავუკითხო ლექცია იმ სტუდენტებს, რომლებსაც არა თუ ელემენტარული ცოდნა, ხშირად მარტივი წინადადების დამახსოვრებაც კი არ შეუძლიათ? არც ის ვიცი, თუ რაზე საუბრობენ ჩემი კოლეგები ლექციებზე?

ვის უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ამ სტუდენტებიდან ვინმე მეცნიერი გახდება?

ვის აქვს იმედი, რომ საქართველოში შეიძლება ექიმის, ინჟინერის ან მასწავლებლის აღზრდა?

მეცნიერთა მდგომარეობა იმდენად სავალალოა, იმდენად გაუსაძლისი, რომ რომელი ახალგაზრდა ისურვებს მეცნიერად გახდომას?

თუმცა, ვაი-მეცნიერებიც არიან და არც თუ ცუდად გრძნობენ თავს და არც გაუნათლებლობა აწუხებთ. ვერ გაუგიათ, რომ განათლება მხოლოდ ინგლისურის და კომპიუტერის ცოდნა სულაც არ არის.

**ისე კი, თუ რუსეთს მეორეხარისხოვან ქვეყნად გარდაქმნა ემუქრება, ჩვენ უკვე მესამეხარისხოვანი ქვეყანა გავხდით და ცენტრალური აფრიკის ქვეყნებამდე დაშვებას აღარაფერი გვიკლია. მეცნიერებისა და განათლების ის სტრატეგიული გეგმა, რომელიც ამ და წინა ხელისუფლებამ თავს მოგვახვია, ჩვენდა სამწუხაროდ, დიდი წარმატებით შესრულდა და საქართველო განვითარებადი ქვეყნების ჯურღმულში აღმოჩნდა.**

## „ვჭირდები კი მე ჩემს ქვეყანას?“



ცხადია, მილიონერობა ყველას უნდა, მაგრამ როგორ? ერთადერთი გზა, თუ გაუმართლა, კრიმინალური გზაა: აუცილებლად სხვას უნდა წაჰგლიჯო და მიზანსაც მიაღწევ!

რა ქნას ნიჭიერმა ახალგაზრდამ? მისი ნიჭის გამოვლენა მხოლოდ საზღვარგარეთის რომელიმე განვითარებულ ქვეყანაშია შესაძლებელი. სამშობლოში მას მაღალი დონის განათლების მიღების უფლება წაართვეს და არც მის ნიჭს მიეცემა გასაქანი, ნასწავლიც რომ დაბრუნდეს.

განათლებულები აქ არც ხელისუფლებას სჭირდება და არც ქვეყანას, რადგან „განვითარებადი ქვეყანაა“. ნიჭს ან ჩაკლავენ, ან ნიჭიერს გააძევებენ.

რამდენიმე წლის შემდეგ კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს, მეცნიერებამ ქვეყანაში კვლავ რომ დაიკავოს მოწინავე, მისთვის შესაფერისი ადგილი, აკადემიკოსმა პროხოროვმა უპასუხა:

„არ ვიცი, ეს შეკითხვა მე არ მეკუთვნის. ძირითადი ფული უკვე ოლიგარქების ხელთაა, მათ კი მეცნიერება არ ადარდებთ. და მაინც ვფიქრობ, რომ სახელმწიფოს ფული აქვს. ეს სულის სიღრმეში ყველამ იცის. ლენინს და სტალინს უფრო მძიმე პერიოდშიც ესმოდათ, რომ მეცნიერების გარეშე ქვეყანა ვერ გადარჩება. ამჟამად მეცნიერებაზე დამოკიდებულება გაცილებით უფრო კრიტიკულია“.

ჩვენ კრიტიკულ ზღურბლსაც გადავაბიჯეთ, საშუალო სკოლაც დავანგრიეთ და უნივერსიტეტიც. მეცნიერებაც უკვე სულს ღაფავს და მომავალიც ხელიდან გამოგვეცალა.

ან და რა მეცნიერებაზეა საუბარი ქვეყანაში, სადაც მეცნიერებათა აკადემიის ერთადერთი სამეცნიერო ჟურნალი „მოამბე“ კვარტალში ერთხელ ძლივს გამოდის, ისიც დიდი დაგვიანებით. აკადემიის პრეზიდენტი კი ტრაბახობს, რომ ჟურნალის ფორმატი შეიცვალა და ყველა სტატია ინგლისურ ენაზე იქნებაო წარმოდგენილი.

ქართული ენა საერთოდ ამოიღეს სამეცნიერო პუბლიკაციებიდან? მხოლოდ უცხოელებისთვის ვწერთ, რომ ჩვენი განათლებულობა ვაჩვენოთ? ვისაც ეს სურს, განა უცხოეთში ინგლისურენოვანი ჟურნალები ცოტაა?

მრავალი წლის წინათ ერთი საერთაშორისო კონფერენციის შემდეგ ჩემი მოხსენება რუმინეთის აკადემიის ჟურნალში გამოქვეყნდა რუსულ ენაზე. იქ რუმინულ ენაზეც იყო სტატიები და ინგლისურადაც. ეს ავტორის ნება იყო.

ცხადია, სამეცნიერო სტატიები ძირითადად ინგლისურად ან რუსულად იწერება, მაგრამ ფილოლოგიის დარგში რატომ არ შეიძლება ქართულად დაიწეროს? იქნებ აკადემიის პრეზიდენტსაც გიგი თევზაძის მსგავსად სურს, რომ ინგლისური ენა სახელმწიფო ენა გახდეს?

იმასაც კი მიაღწიეს, რომ საქართველოში გააუქმეს მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის ხარისხები, სამეცნიერო ინსტიტუტები კი ჩალის ფასად იყიდება.

ამდენად, არც მეცნიერებას ვჭირდები!

მართალია, ხელისუფლებას თავი განათლებული ჰგონია, რადგან ორი ღერი ინგლისური უსწავლია, მაგრამ იმდენი (და უფრო მეტიც) ინგლისური ნებისმიერმა ამერიკელმა იცის და სწორედ ამიტომ, ამერიკიდან ამ მესამეხარისხოვან განვითარებად ქვეყანაში „ჭკუის სასწავლებლად“ მოვლენილი რეკომენდატორების ამარა დავრჩით.

აბა მეცნიერები ჩვენს ქვეყანას რაღაში სჭირდებათ?

საუბედუროდ, არც ხალხის საკმაოდ მოზრდილ ნაწილს სჭირდება? ამ ხალხს, რომელიც შვილის გაუნათლებლობისთვის საკმაოდ დიდ თანხას იხდიდა და ახლაც იხდის, შვილების დიპლომების გარდა არაფერი აინტერესებთ, რადგან „კარგ“ სამსახურს ისევე იყიდიან, როგორც დიპლომები შეიძინეს. თუმცა, ნუთუ არ აინტერესებთ, თუ რა საზოგადოებაში, რა ქვეყანაში მოუწევთ ცხოვრება მათ შვილებს, ამ განვითარებადი ქვეყნის უბედურ შვილებს?

თუ სხვა ქვეყანაში გადასახლების იმედი არა აქვთ, საკუთარი ქვეყანა ასე რატომ გაანადგურეს?

ამ ქვეყანას მე არ ვჭირდები, სხვა ქვეყანა კი მე არ მჭირდება.

**მერაბ ჯიბლაძე,**
**ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ამერიკის ფიზიკის საზოგადოების წევრი**

განსჯა

# „ბოროტს სძლია კეთილმან...“

***შეცდომებს ყველანი ვუშვებთ, თანაც არც ისე იშვიათად, მაგრამ ამ შეცდომებზე ვსწავლობთ კიდეც, უმეტესობა — საკუთარზე, ძალიან ცოტა — სხვისაზე.***

***თითქმის ყველა შეცდომის გამოსწორება შეიძლება, ზოგის უბრალო სიტყვით — ბოდიშის მოხდით, ზოგისაც — საქმით. მთავარია, ისეთი რამ არ შეგვეშალოს, რასაც უკვე სხვა სახელი — „ჩაჭრა“ ჰქვია. ჩაჭრილ, მაგრამ ოდნავ ნამუსიან კაცს სიკვდილამდე არ ასვენებს მის მიერ ჩადენილი უკადრებელი საქციელი, ნამუსგარეცხილს კი, პირიქით, სიამოვნებას ანიჭებს სხვისთვის მიყენებული ტკივილი, განსაკუთრებით, როცა ის მატერიალური წახალისებით უბრუნდება ხელისუფლებისგან. სამწუხაროდ, ასეთნი ცოტანი არ არიან. ასე იყო ყოველთვის და ამიტომაცაა კაცობრიობის ისტორია სიკეთესა და ბოროტებას შორის გაუთავებელი ბრძოლა.***

ბოროტებასთან დაუსრულებელი ჭიდილის დამადასტურებელია ყველა წერილობითი ძეგლი — ისტორიული თუ მხატვრული ნაწარმოები და, რაც ნიშანდობლივია, მსოფლიოს ხალხების ზღაპრები, რომლებშიც მფრინავ ხალიჩაზე და ჯადოსნურ სარკეზე ოცნებასთან ერთად, ბოროტების დამარცხებისკენაა მიმართული მთელი ძალისხმევა და სიკეთე, როგორც წესი, ყოველი ზღაპრის ბოლოს მუდამ ამარცხებს ბოროტების გველეშაპს.

ოპტიმისტურ ნოტაზე დამთავრება აუცილებელი იყო მრავალი საუკუნის წინათ და არანაკლებ აუცილებელია დღესაც. ადრე თუ ვაჟკაცობას გამარჯვებული მტერიც კი აფასებდა — დამარცხებულ ვაჟკაცს სიცოცხლეს უნარჩუნებდა და თავისუფლებასაც ანიჭებდა, დღეს ასეთ ხალხს არათუ მტერი, ჩვენდა სავალალოდ, საკუთარი ჯიშის და ჯილაგის, ოცდაათ ვერცხლს დახარბებული სულიერები არ ინდობენ — მათ ხან ღამ-ღამობით ქურდულად, ხან კი დღისით-მზისით, ყველას დასანახად და დასაშინებლად უსწორდებიან. განუკითხაობის ზეიმია, უკიდურეს სიდუხჭირესთან ერთად.

ყველა ზღაპრის ნატვრა აისრულა ადამიანმა (ხალიჩა, სარკე და კიდევ ბევრი სხვა) ერთადერთის, მთავარის გარდა — ვერა და ვერ მოახერხა ბოროტებაზე გამარჯვება, საბოლოო გამარჯვება. **საუბედუროდ, ბოროტების დასამარება შეუძლებელია.** შეუძლებელია, რადგანაც ის არ არის რაღაც ხილული, ხორციელი, ერთხელ და სამუდამოდ რომ მოსპო და მიწაში ჩადო. ბოროტების უკვდავება განპირობებულია იმით, რომ იგი ყოველ ჩვენგანში არის ჩაბუდებული მეტ-ნაკლებად და ამიტომ, მისი დათრგუნვა, მხოლოდ დათრგუნვაა შესაძლებელი. **სატანისეულის არსებობა უშუალო უკუპროპორციულ კავშირშია თითოეულის სინდის-ნამუსთან,** სიბოროტის ხარისხი ჩვენს შინაგან ბუნებაზეა დამოკიდებული. ამავე დროს, ბოროტებასთან ბრძოლას არ შეიძლება ყველა საკუთარი საზომით, ანუ თავისი ნამუსით მიუდგეს, ეს არ იქნება სწორი და არც საკმარისი. აუცილებელია, და ამას დიდი ხანია მიხვდა კაცობრიობა, საერთო, ასე თუ ისე ყველასათვის მისაღები „ნამუსის კოდექსი“, რასაც სახელმწიფო და სახელმწიფოს მხრიდან კონტროლირებადი კანონმდებლობა ჰქვია. **სიკეთე-ბოროტებას შორის ჭიდილის განმსაზღვრელი არის პიროვნული ნამუსიანობა, ოღონდ განზოგადოებული, სახელმწიფო ნამუსიანობით დაცული და ზურგგამაგრებული.**

საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალა სიკეთე-ბოროტებას შორის ბრძოლაშია ჩადებული. ეს ბრძოლაა კაცობრიობის წინსვლის, გნებავთ, ყოფნა-არყოფნის საწინდარი. უდავოა, რომ ამ ბრძოლაში ლომის წილი სახელმწიფოზე მოდის; **სამართლიანია სახელმწიფო, ხელისუფალი — ბოროტება, სატანა დათრგუნულია,** და, რაღა თქმა უნდა, როცა სახელმწიფოა კანონდამრღვევი, როცა თავადაა ბოროტების წყარო — ბოროტება იფურჩქნება და პიროვნულ ნამუსს ძალიან უჭირს წინ აღუდგეს სიბოროტეს. უჭირს მანამ, სანამ სიბოროტის ალმასვლა კრიტიკულ ზღვარს არ მიაღწევს, სანამ ინდივიდუმების უკვე საერთო სახალხოდ ქცეული ნამუსი სახელმწიფოს უნამუსობას არ დაუპირისპირდება.

ძნელია, ძალიან ძნელია ბოროტებასთან ბრძოლა, მით უფრო გაერთიანებულ და დიდი ფულის მქონე ბოროტებასთან. **იმ მეთოდების გამოყენება, რასაც ბოროტება იყენებს, სიკეთეს თავშიც არ მოუვა, ის ხომ ათი მცნებით ხელმძღვანელობს და არა სატანის კანონით — დაიჭირე, აწამე, მოჰკალ შენი მოწინააღმდეგე, თანაც ყველაზე გამორჩეული, ვისაც აფასებენ და ვინც ყველაზე აქტიურად გიპირისპირდება.**

სიკეთის მიერ ბოროტების დამარცხება ადვილი და ჩვეულებრივი მოვლენა რომ ყოფილიყო, მაშინ არც ზღაპრებში გაგრძელდებოდა საუკუნეები ამაზე თხრობა და არც ამდენი უსამართლობის მოწმენი ვიქნებოდით დღეს მთელ მსოფლიოში, და არა მარტო საქართველოში. ძალიან ძნელია მშვიდად უცქირო, თუ როგორ გვიხოცავენ შვილებს, როგორ გვიუპატიურებენ დედა-სამშობლოს — გვინიავებენ წინაპრების თავდადებით დღემდე მოტანილ ძირძველ ქართულ მიწებს და, ამის შემყურე, მაინც არ დაუშვა ზეალმართული შიშველი ხელები და რაც მოგხვდება, იმას არ წამოავლო ხელი. ძველად ასეთი რამეებისთვის ხომ ცხენის კუდზე გამოაბამდნენ, ახლა კი რა ხდება — გადავგვარდით თუ გავკეთილშობილდით? ალბათ ერთიც (უფრო მეტად) და მეორეც (ნაკლებად).

და მაინც როგორ გინდა სუფთა ხელებით და მხოლოდ ანთებული გულით სისხლში ხელებგასვრილი და საწამლავ-მახვილიანი მონსტრის დამარცხება? ეს ხომ, პრაქტიკულად, შეუძლებელი უნდა იყოს! მაგრამ არც მთლად ასეა საქმე.

**ბოროტება თავისი არსით არის არა უბრალოდ ბოროტება, როგორც ასეთი, არამედ — ძალიან პატარა ჯგუფის, უმცირესობის ბატონობა დიდ უმრავლესობაზე.** სწორედ ამიტომ, ამოსავალი წერტილიც წარმატებისა აქაა ჩადებული. **საკუთარი ღირსების დასაცავად გამოსული ხალხის ძალას წინ ვერაფერი უდგება,** ეს კარგადაა ცნობილი ისტორიიდან. მთავარია, ამ ძალის სწორ კალაპოტში მოქცევა, რათა მისი წიაღიდან ახალი, ხშირად უფრო უარესი ბატონობის მოყვარული უმცირესობა არ მივიღოთ. ეს საშიშროება მუდამ უნდა გვახსოვდეს, მით უფრო, როცა სამართლიანი და ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციას არცთუ ცოტა ვინმე ცდილობს.

**ბოროტებას, სატანას არასდროს არ სძინავს, მან შეიძლება, თავი მხოლოდ მოიმძინაროს,** ანუ დროებით უკან დაიხიოს და მოჩვენებით დათმობებზე წავიდეს, მაგრამ ამან არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში. თუ გვინდა თავის გადარჩენა, თუ გვინდა სამშობლოს შენარჩუნება, თუ გვინდა შვილების ბედნიერება, ბრძოლაში მოდუნება არ შეიძლება, **ბოროტებასთან შეგუება, მისი წლობით ატანა დიდ ცოდვასთან ერთად, დანაშაულის ტოლფასია!**

იმისთვის, რომ კარგად გავერკვეთ ეშმაკისეულ ხრიკებში, საჭიროა, **უმნიშვნელოვანესია ბოროტების გაშიშვლება,** მისთვის ნიღბის ჩამოგლეჯა, ანუ რაც შეიძლება სრულად ობიექტური ინფორმაციის მიწოდება მთელი მოსახლეობისთვის, მისი ყველა ფენისთვის. **ინფორმაცია და ინფორმაცია, ესაა გადამწყვეტი ხალხის, რაც შეიძლება მეტი ხალხის, დასარაზმავად და ბოროტების დასამარცხებლად, დროით მაინც!**

**იაკობ ლეჟავა**

„ელიტა“

**ვფიქრობ, ისინი ვერ იქნებიან ბოლომდე გახსნილები ლიბერალური თუ სხვა რაიმე ღირებულებების მიმართ. მათ ამისათვის არც დრო აქვთ და არც განწყობა. ასეთი ემიგრაცია ნებისმიერ დასავლურ ქვეყანაში სოციალური იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე დგას. მათი ადგილობრივ ღირებულებებთან ბრძოლა თვითდამკვიდრების, საკუთარი ღირებულებების გადარჩენის მცდელობაა. ჩემი აზრით, საერთოდ, ემიგრაცია ცხოვრების ექსტრემალური გარემოა. ძნელია წყალწაღებულს ხელების ქნევის გარდა კიდევ რამე მოსთხოვო, მაგალითად, ბატერფლაით ცურვა. მას მხოლოდ თავის გადარჩენის ინსტინქტი ამოძრავებს, ასე არ არის? ქართველები გამონაკლისს, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენენ.**

—გაცილებით რთული ასახსნელია საკუთარ გონებრივ სიტლანქეში გაჯიუტებული დასავლელი ქართული წვრილი ბურჟუაზიის ის ნაწილი, რომელსაც საკმაო დრო და საშუალება აქვს იმისათვის, რომ წესებით ცურვა ისწავლოს, მაგრამ არ უნდა. ასეთები თითქმის ყველა ეთნიკურ ემიგრაციას ჰყავს. არა მგონია, ჩვენ მეტი გვყავდეს. გარდა ამისა, ახალმა ქართულმა ემიგრაციამ ჯერ კომუნად, დიასპორად ჩამოყალიბება ვერ მოასწრო. მას ძალიან ცოტა ხნის ისტორია აქვს. თუ საფრანგეთში მცხოვრებ პირველი ემიგრაციით ვიმსჯელებთ, უნდა გითხრათ, რომ ქართველებს კულტურული ინტეგრირების უნარი ნამდვილად გაგვაჩნია. თუმცა ამ ემიგრაციას 80 წლის ისტორია აქვს. ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რომ ქართული ემიგრაციის პირველი თაობა შინაგანად კიდევ უფრო მეტად ეწინააღმდეგებოდა ევროპულ ღირებულებებს. მით უმეტეს ეს ღირებულებები თვით ევროპაშიც კი არ არის ერთნაირად და ერთ დროს მიღებული ყველა ქვეყანაში. რამდენადაც ვიცი, არც ამერიკაშია ამ მხრივ ლიბერალური სამოთხე.

**— საქართველოში საუბრობენ ზოგად ლიბერალურ ღირებულებებზე, თავისუფლებაზე, დასავლეთზე, მაგრამ როცა საქმე კონკრეტიკამდე მიდის, საუბარიც იქვე მთავრდება ...**

— ჩემთვის პირადად საყოველთაოდ მიღებულ-აღიარებული ღირებულებები ცოტა საეჭვო ცნებებია. დემოკრატია, რომელიც ამ ღირებულებებისათვის აუცილებელი სასიცოცხლო სივრცეა, არ წარმოადგენს ერთხელ, სამასი წლის წინათ მიღწეულ რაღაც სტატიკურ მდგომარეობას. დემოკრატია განუწყვეტელი დინამიკური და სასტიკი პროცესია. ევროპა დეტალების ერთობლიობაა. ტოლერანტობა ევროპულობის ისეთივე დეტალია, როგორც სიქსტის კაპელა, „ბმვ“, ეიფელის კოშკი და ქუჩის შუქნიშანი. ჩვენ ქართველებს, მხოლოდ სიქსტის კაპელა, ეიფელის კოშკი და „ბმვ“ გვინდა. შუქნიშანი და ნაგვის ყუთამდე რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა კი — არა... 1990-იანი წლების დასაწყისში ერთი ჩემი ნაცნობი ახალგაზრდა ქალი ინდოეთში წავიდა რამდენიმე თვით სახეტიალოდ. აღფრთოვანებული დაბრუნდა იქიდან. მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი უარყოფითი ლაიტმოტივი გასდევდა მის მონათხრობს — სიბინძურე! — ადამიანები თქვენს წინ ქუჩაში მოურიდებლად იფურთხებიანო... ალბათ გენიშნათ რაღაც, არა? ამას კიდევ მზესუმზირის ფურთხება შეგვიძლია დავუმატოთ, რატომღაც მოფერებით „სემიჩკის კნატუნს„ რომ ვეძახით... ღირებულებები მაშინ ხდება მიღებული, როდესაც მასზე აღარ ფიქრობ. მე ჯერ კიდევ ვფიქრობ იმაზე, რომ საქართველოში ყოველ ფეხის ნაბიჯზე იფურთხებიან, და ამას განვიცდი, ამიტომ ნაადრევი მგონია ჩვენს რელიგიურ ტოლერანტობაზე განყენებულად ლაპარაკი. მით უმეტეს, ჩვენს რაღაც ერთ მთლიან ევროპულ ღირებულებებზე.

# პაატა ქურდაძე: ჩვენი „სულიერი მისია“ მესაზღვრეობაა...



**— ჯერ არ ვართ თუ უკვე ვიყავით აგრერიგად აღთქმული „ევროპელები“ და ამიტომ გვიხარია „ზეზვასა“ და „მზიას“ ჩვენს ტერიტორიაზე აღმოჩენა?..**

—ქართველებში უდავოდ არის ევროპული ხმელთაშუა ზღვის კულტურული მსგავსება, თუმცა ამდენივეა - ახლო აღმოსავლური. აღმოსავლეთიც განზოგადებული სიტყვაა. ძალიან ხშირად საფრანგეთში ჩვენ, ქართველებს ახლო აღმოსავლეთს მიგვაკუთვნებენ და მეც ვთვლი, რომ კულტურულად



მათთან ძალიან ახლოს ვართ. ყოველდღიურად ჩვენ თვითონ უნდა გადავწყვიტოთ — ვინა ვართ. ეს ჩვენი სასჯელია. არ ვიცი რისთვის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს ეროვნული სასჯელია: ვიცხოვროთ ორი სახით, და ყოველდღე, ყოველ წამს იმაზე ვიფიქროთ, ევროპელები ვართ თუ აზიელები. ჩვენი „სულიერი მისია“ მესაზღვრეობაა. მხოლოდ არ ვიცით ვის საზღვარს ვდარაჯობთ, აზიისა თუ ევროპის.

ჩემთვის კი ჩვენი ეროვნული სულიერი სიმბოლო კენტავრია. საქართველო მხოლოდ მაშინ მოისვენებს, როდესაც გაარკვევს, ცხენია თუ ადამიანი. ეს არც ისე ძნელია. ამას მხოლოდ შინაგანი გაბედულება სჭირდება, და არა ღმერთებისგან მოვლენილი გმირი .

**— რა როლი „აკისრია“ საფრანგეთში ეკლესიას? რა დოზით ერევა იგი „სარკოზისტებისა“ და „ანტისარკოზისტების“ საქმეებში?**

— აქ სკოლაში ჯვრის ტარება ისევე აკრძალულია ქრისტიანებისთვის, როგორც ბურკა — მუსულმანებისათვის და კიპა — ებრაელებისთვის. თუმცა ფარული გავლენის სფეროები ყველა ქვეყანაში არსებობს. მათ შორის, ალბათ, საფრანგეთშიც. თუმცა, არა მგონია კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიები, რომელიმე სხვა კონფესიის წარმომადგენლები რაიმე განსაკუთრებულ გავლენას ახდენდნენ პრეზიდენტის გადაწყვეტილებებზე. ამას აუცილებლად აეხდებოდა ფარდა და დიდი სკანდალი მოჰყვებოდა. საფრანგეთში წარმოუდგენელია რომელიმე ეკლესიას, მათ შორის ყველაზე ძლიერ კათოლიკურს ჰქონდეს ჭეშმარიტების აბსოლუტურობის ისეთი მონოპოლია, როგორიც საქართველოში აქვს მართლმადიდებლურ ეკლესიას. ასეთი რამ შუა საუკუნეებში ინკვიზიციასთან ერთად დამთავრდა. საქართველოში კი კუდიანებზე ნადირობა დღეს იწყება. მხოლოდ მადლობა ღმერთს, კოცონზე არავის ვწვავთ თავისუფლების მოედანზე... თუმცა უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, არც ჯორდანო ბრუნოსავით პროგრესული იდეისათვის მებრძოლი „ერეტიკოსების“ მოჭარბება შეინიშნება.

საზოგადოების ყველა ფენა ერთნაირად ფარისევლობს ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. თუმცა, რამდენადაც ეკლესიას ჩაურევლობის კონკორდატი სახელმწიფოსთანა აქვს დადებული, ამიტომ ჩემთვის სწორედ ხელისუფლების ფარისევლობა და უსუსურობაა თვალშისაცემი. ეკონომიკის მინისტრი შეთავსებით ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე იერუსალიმიდან სააღდგომოდ ცეცხლის ჩამომტანის ფუნქციას ასრულებს და ამაზე პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე აცხადებს, რომ ეს არის ერთადერთი რამ, რაც ოდესმე ვინმესი, კერძოდ, მინისტრ ჟვანიასი შეშურებია... ამის მერე აღარ მიკვირს, როცა იგივე ხელისუფლება ცოტა ხნის წინათ ეკლესიებში „მიმაგრებაში“ უშვებს პატიმრებს. ალბათ, გახსოვთ სულ ახლახანს საპატრიარქოს წინადადებით ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ არასაშიშ პატიმართა ნაწილმა პატიმრობა ეკლესია-მონასტრებში მსახურებით გააგრძელონ... მე არ გამიგია, ვინმეს კითხვა დაესვას, რა ქნან მუსულმანმა, ებრაელმა ან ათეისტმა არასაშიშმა პატიმრებმა? ქართული ციხის ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევის სურვილით კონფესია შეიცვალონ? ამას რაიმე კონკრეტული სახელი ხომ არ ჰქვია ჩვენი ხელისუფლების „პოლიტიკურ ტაძარში“? ევროპაში, მაგალითად, ამას „დისკრიმინაციას“ უწოდებენ. საქართველოს ხელისუფლებას არც გამბედაობა, არც ცოდნა, და არც საკმარისი პროგრესულობა აქვს, რათა ეკლესიისაგან დამოუკიდებლად იარსებოს.

საქართველოში ეკლესია ერევა სახელმწიფოს საქმიანობაში და ეს თავად სახელმწიფოს უნიათობის ბრალია. რადგან საერო და სასულიერო ინსტიტუტები თავად უნდა აბალანსებდნენ ერთმანეთს. ყოველ მათგანს მიდრეკილება აქვს სრული კონტროლისადმი, როდესაც ერთი მეორე მხარეს შესაბამის სისუსტეს ხედავს. ამის შესანიშნავი მაგალითია საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ეკლესიასთან, ასევე ფუნდამენტალისტი თალიბებისა — იგივე სსრკ-სთან ომით დასუსტებულ ავღანურ სახელმწიფოსთან.

ისლამი ისეთივე მშვიდობის რელიგიაა, როგორც ქრისტიანობა. მაგრამ თალიბანის ისლამი რელიგია აღარ არის: ეს იდეოლოგიაა. ნებისმიერი იდეოლოგია კი, როგორი ჰუმანურიც არ უნდა იყოს იგი, არ შეიძლება ოფიციალურ და ერთადერთ მმართველ ძალად იქცეს ქვეყანაში. ასეთ შემთხვევაში მართლმადიდებლობა, ისლამი და წითელი საბჭოთა ათეიზმი ერთნაირად ტრანსფორმირდება ტირანიად.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ დაისაკუთრეს „პარტიული ზონა“ „ცნობადი“ მამების შვილებმა? რატომ მაინც და მაინც პარტია და არა სხვა რამ? ახლა პარტიაა უფრო „სახელოვანი“?**

— ჩემი აზრით, დღეს საზოგადოებას თვალში ის ადამიანები ჰყავს გაჩხერილი, რომლებმაც თავიანთი საკუთარი წარსულის შექმნა ან ვერ მოასწრეს ან საამისოდ ნიჭი არ ეყოთ. ამიტომ ვისაც ამის საშუალება აქვს, მამის კალთებს ებღაუჭება. თავად საზოგადოება, პრაქტიკულად, გადაეჩვია საკუთარი ბიოგრაფიის მქონე პიროვნებებს. საქართველოში ხომ, ბოლო ოცი წლის მანძილზე წარსულის არმქონე „ცნობადი“ სახეები (როგორც მათ უწოდებენძ, უცებ თითქოს ჯადოსნური ჯოხის მოქნევით ჯერ საიდანღაც ჩნდებიან, მერე კი უცებ ისევ უცნობები ხდებიან, ბოლოს კი — უკვალოდ ქრებიან.

მე კარგად მახსოვს, როგორ დაიწყო კონსტანტინე გამსახურდიას პოლიტიკური კარიერა. გარდა იმისა, რომ ზვიად გამსახურდიას შვილი და კონსტანტინე გამსახურდიას შვილიშვილია, მის წარსადგენად ვერაფერი მოიფიქრეს, თუმცა ამაზე არც არავინ შეწუხებულა. რადგან გამსახურდიების ცნობილი გვარის წევრობა სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ ეს არაფრით გამორჩეული კაცი პოლიტიკურ ლიდერად აერჩია რამდენიმე ათას ადამიანს და მამამისის სოზი გამხდარიყო.

ზუსტად ასევე დაიწყო კახა შარტავას კარიერა: მისი აფხაზეთში დაღუპული მამის ჟიული შარტავას ფოტოებით. მე მაშინაც და დღესაც ხანდახან ვცდილობ წარმოვიდგინო, ჟიული შარტავა იმ დღეს აფხაზებს რომ ბარბაროსულად არ მოეკლათ, დღეს ქართველები რა დღეში ჩააგდებდნენ მისი კომკავშირული და პარტიული წარსულის გამო. ის ხომ შევარდნაძის მარჯვენა ხელი და ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ჯერ კომკავშირული, შემდეგ კი პარტიული ფუნქციონერი იყო წითელ საქართველოში... ვინ იცის როგორ გაგრძელდებოდა შარტავების კარიერა შევარდნაძის კორუმპირებულ ეპოქაში? დაუდგებოდა თუ არა მას გვერდით კონსტანტინე გამსახურდია? ვინ იცის...

გუბაზ სანიკიძეც, ასევე მამის დამსახურებების პოლიტიკური ბენეფიტორია. მისი პოლიტიკური ცოდნა შუა საუკუნეს ვერ ცდება. ყველაზე მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მოვლენა მის მეხსიერებაში დიდგორის ბრძოლაა... ანუ ყოველი მათგანი მამის ბოლო სამუშაო ადგილის მიხედვით მოქმედებს: გამსახურდია პრეზიდენტობას უმიზნებს, შარტავა აფხაზეთს ათავისუფლებს, სანიკიძე უქარქაშო გაშიშვლებული ხმლით რაღაც გაურკვეველ გმირულ ბრძოლებში გვეპატიჟება. კიდევ კარგი ავლიპ ზურაბიშვილის შთამომავლებს ჯერჯერობით პოლიტიკოსობის სურვილი არ გამოუთქვამთ, თორემ ნაპოლეონები და ცეზარები არ მოგვაკლდებოდა ქართულ პოლიტიკურ-დრამატულ თეატრში. ჩემი აზრით, საქართველოში მამებზე ორიენტირებული ოიდიპოსის კომპლექსის ყველაზე უცნაურ და უნიკალური ფორმის გამოვლინებასთან გვაქვს საქმე.

როდესაც ჩემი კომპიუტერის ეკრანში „სახელოვანი ქართველი მამების სახელოვან შვილებს“ ვუყურებ, ხანდახან ჩემი ტყუპების ერთი თანაკლასელი, ტანდაბალი სათვალიანი, ძალიან ზრდილობიანი ბიჭი მარტინ დე გოლი მახსენდება. ის სწორედ იმ შარლ დე გოლის შთამომავალია, რომელიც რატომღაც ყველა ქართველი პროტესტანტი პოლიტიკოსის იდოლია (მისი მდიდარი ბიოგრაფიიდან, მგონი მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობით გადადგომის ეპიზოდის გამოძ. ამ ბიჭის წარმოშობის შესახებ ვერც კი გავიგებდით, თავისი დიდი ბაბუის ხმაურიან და იშვიათ გვარს რომ არ ატარებდეს. მიუხედავად ამისა, ერთ კლასში მოხვედრიდან მხოლოდ სამი წლის თავზე შევიტყვეთ მის შესახებ, როდესაც ჩემს შვილებს ერთ დღეს შემთხვევით გაახსენდათ თავიანთი თანაკლასელის დიდი ბაბუა. მას თვალი ტელევიზორში მოკრეს და ამიტომ გვითხრეს მარტინ დე გოლის შესახებ.

მე ამ ბიჭის მამასაც ვხედავ წელიწადში ერთხელ მშობელთა კრებაზე. სათვალიანი, ძალიან მორცხვი, უბრალოდ ჩაცმული ახალგაზრდა კაცია, ცოტა სასაცილო: ცოტათი ჯიმ ქერის ჰგავს, თან ბაბუამისივით აყლაყუდაა... ღმერთი შემიძლია დავიფიცო, რომ ამ კაცს არასოდეს არ გასჩენია პოლიტიკური ამბიციები ბაბუამისის გამო, თუმცა განათლებით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ზემოთ ნახსენებ არც ქართველ მამიკოს ბიჭს, ძალიან დელიკატურად რომ ვთქვა, არ ჩამოუვარდება... დარწმუნებული ვარ, არც პატარა მარტინი მიაყენებს დიდი ბაბუის სახელს ჩრდილს თავისი გვარის დროშასავით ფრიალით. და კიდევ ერთი: ეს ყველაფერი ჩვეულებრივ პარიზის მუნიციპალურ კოლეჯში ხდება და არა რაიმე განსაკუთრებულ „ელიტურ“ სკოლაში...

იხ. 19 გვ.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 126.

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: ვარ 70 წლის პენსიონერი. დანიშნული მაქვს პენსია თვეში 77 ლარის ოდენობით. იმის გამო, რომ დავკარგე შრომის წიგნაკი, რომლის მიხედვითაც 32 წლის შრომის სტაჟი მქონდა, სოციალური მოსამსახურეების სამსახურში ჩემი სტაჟის შესახებ სრულყოფილი საბუთები ვერ წარვადგინე და დანამატი 10 ლარის ნაცვლად, თვეში 2 ლარის ოდენობით განმისაზღვრეს. იქნებ მირჩიოთ ვინ დამეხმარება სამართლის დადგენაში?**

**ლარისა ჩიგოგიძე**

**პასუხი:** გირჩევთ მიმართოთ იმ დაწესებულებების კადრების განყოფილებას, სადაც მუშაობდით. თუ ადგილზე თქვენი შრომის სტაჟის შესახებ მონაცემები არ აღმოჩნდა, კადრების სამსახური გაგარკვევთ სად (რომელ არქივშიძ არის გადაცემული იმ პერიოდის საბუთები, როცა თქვენ მუშაობდით. საარქივო მონაცემების საფუძველზე გაცემულ შრომის სტაჟის დამადასტურებელ საბუთებს კი იგივე ძალა ექნება, როგორც შრომის წიგნაკის ჩანაწერს და ამ გზით შეიქმნება საფუძველი თქვენთვის ძირითად პენსიაზე სტაჟის ხანგრძლივობის გათვალისწინებით დანამატის დასარიცხად.

* * *

**კითხვა: ვმუშაობ სახელმწიფო სამსახურში. მყავს 3 შვილი, რომელთაგანაც უფროსი 16 წლისაა, უმცროსი კი შვიდის. ბავშვები ხშირად ავადმყოფობენ. ახლაც შვიდი წლის ბავშვს აქვს ძლიერი ხველა, მაღალი სიცხე და სკოლაში ვერ გავუშვი. როცა ასეთი მდგომარეობა მაქვს, შეიძლება დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარება მივიღო?**

**ნაილი გაწერელია**

**პასუხი:** დიახ, შეიძლება, მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ექიმმა უნდა გადაწყვიტოს, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 10 მარტის №66/6 ბრძანებით დამტკიცებული „დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის 1 პუნქტის ბძ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაქმებულს დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარება ენიშნება ოჯახის ავადმყოფი წევრის მოვლის გამო.

* * *

**კითხვა: ვმუშაობ ძირითად სამუშაო ადგილზე და ამავე დროს შეთავსებითაც. 1 თვის წინათ ფეხი მოვიტეხე და დღემდე წოლით რეჟიმში ვაგრძელებ მკურნალობას. გთხოვთ, მაცნობოთ საავადმყოფო ფურცელი მხოლოდ ერთი სამუშაო ადგილიდან უნდა ამინაზღაურდეს თუ შეთავსებიდანაც?**

**თამთა დანელია**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, ერთდროულად რამდენიმე დამსაქმებელთან მუშაობის შემთხვევაში, დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარება გაიცემა ყველა დამსაქმებელთან ცალ-ცალკე.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

◎ დიდი მეოცესაუკუნელები

# „მე არ მითამაშია როლი, რომელზეც ღამეები არ მეთენებინოს“



სერგო ზაქარიაძე 40 წლის წინათ — სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე

**მოგკვლა ამ პოლიტიკამ, აღარ შეგვიძლია, ჰოდა, ჩვენი უბნის „პარლამენტი“ „ალექსანდრეს ბაღში“, ხანდახან ხელოვნებაზე ან პოეზიაზე რომ დაიწყებს საუბარს, ცოტა გულს მოეფონება ხოლმე... ვიგონებთ ჩვენს ბრწყინვალე პოეტებს, მსახიობებს, თავი მოგვაქვს, თუ მათ სადმე შევხვედრივართ, ანდა ვიცნობდით... იმ დღეს ბაღში უხუცესი „პარლამენტარი“ ბატონი მიშა მურვანიძე აღტაცებით ყვებოდა, წუხელ „გიორგი სააკაძე“ ვნახე ტელევიზორში და ძალიან ვისიამოვნეო. დედა, რას თამაშობს სერგო ზაქარიაძე შადიმან ბარათაშვილის როლს, სწორედ ზაქარიაძის დაბადების 100 წლისთავს მიუძღვნეს ფილმის ჩვენება.**

— კი, 100 წლისთავია, — ვამბობ მე, — წარმოგიდგენიათ, როგორ გავიდა დრო?.. 40 წლის წინათ გაზეთ „საქართველოს კინემატოგრაფისტიდან“ მიმავლინეს ქუთაისში, სადაც რუსთაველის თეატრს გასტროლები ჰქონდა, ბატონი სერგოს 60 წლისთავის გამო, მასთან საუბარი დამავალა რედაქციამ, დავრეკე წინასწარ ქუთაისში, შევთანხმდით შეხვედრაზე, ჩავედი, ვისაუბრეთ, დაიბეჭდა კიდეც ინტერვიუ... მაშ, 40 წელი გასულა...

* * *

შინ რომ მივბრუნდი, მოვიძიე ის მასალა ჩემს 1976 წელს გამოცემულ კრებულში — „დიალოგები კინოზე“, ვიფიქრე, ცოტას „შევაკეთებ“ 40 წლის წინანდელ ინტერვიუს ბატონ სერგო ზაქარიაძესთან, ვგონებ, საინტერესო უნდა იყოს იგი „საქართველოს რესპუბლიკის“ დღევანდელი მკითხველისთვის-მეთქი.

ჰოდა, ა ბატონო, თუმცა, ეს ინტერვიუ, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ თუ ასახავს დიდი ქართველი მსახიობის ცხოვრების გზას, ხასიათს, ადამიანურ თვისებებს. ეს იმანაც განაპირობა, რომ მე, როგორც კინოს გაზეთის კორესპონდენტი, ძირითადად კინოს საკითხებით შევაწუხე იმ დღეს სერგო ზაქარიაძე.

* * *

ქუთაისის თეატრში რომ მივედი, ბატონი სერგო ქალაქში დამხვდა გასული. დიდხანს ლოდინი არ დამჭირვებია. ვხედავ — მოდის, სვანური ქუდი ახურავს და მთელი ტანით წინ წახრილა, გეგონებათ, ვიღაცაზე, ან რაღაცაზე ჯიქურ მოდის.

მოვიდა, ხელი ჩამომართვა, ადრე ერთ-ორჯერ ვიყავი შეხვედრილი და მიცნო.

— მოხვედი ხომ, დავაგვიანე ცოტა, — მითხრა და სავარძელში ჩაეშვა, — ქუთაისშიც მომაგენით ჟურნალისტებმა? ხვალზეგ დავამთავრებდით გასტროლებს და გვესაუბრა მერე თბილისში, დაწყნარებულად.

**— „ხვალ-ზეგ“ დაგვიანებული იქნება, ბატონო სერგო. მოგეხსენებათ, ჟურნალისტიკას ოპერატიულობას თუ ჩამოვაცლით, ბევრი არაფერი დარჩება...**

— დავიწყოთ აბა, მეტი რა გზაა...

**— ბატონო სერგო, ამ დღეებში, თქვენი დაბადების სამოცი წლის თავზე, როდესაც ასეთი ბედნიერი კაცი ბრძანდებით, რისი და ვისი გახსენება განიჭებთ განსაკუთრებულ სიამოვნებას?**

— ქუთაისში ყოფნამ საშუალება მომცა ამ ზაფხულში, მესამოცე ზაფხულზე ჩემი სამშობლო სიმონეთის სიახლოვე მეგრძნო. მისი ყოველი ხე და შარა ჩემს ბავშვობას მახსენებს ხოლმე, მისი ცისა და მზის ღიმილი კი — დედაჩემის ღიმილსა და სათნოებას.

**— ახლა რომ იყოთ ახალგაზრდა, რომელ გზას აირჩევდით?**

— მე ვერავინ გადამიყვანდა იმ გზიდან, რომელსაც ერთხელ დავადექი დიდი სურვილითა და სიყვარულით.

**— გვიამბეთ ამ გზაზე, თუნდაც მის დასაწყისზე.**

— ეს იყო 1916 წელს ბაქოში. ქართველ სცენისმოყვარეთა ჯგუფმა დადგა ე. ნინოშვილის „ტარიელ მკლავაძე“, პიესაში ბავშვები სჭირდებოდათ. ჩვენ მაშინ იქვე ვცხოვრობდით, და მე, 7 წლისა, სხვებთან ერთად გამიყვანეს სცენაზე. შემდეგ, უკვე მოზრდილმა, ზესტაფონში ვითამაშე რამდენიმე პიესაში. იქ ზაფხულობით ჩამოდიოდნენ: ვასო აბაშიძე, უშანგი ჩხეიძე, ვასო არაბიძე, ცაცა ამირეჯიბი და სხვები. ამ ადამიანებმა საბოლოოდ დამმუხტეს სცენის სიყვარულით.

მოგეხსენებათ, 1928 წელს თბილისში გაიხსნა თეატრი, რომელიც დღეს მარჯანიშვილის სახელს ატარებს. აქ, უკვე პროფესიონალმა მსახიობმა, ერთ-ერთი ეპიზოდი ვითამაშე ტოლერის პიესაში „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“. პიესა რამდენიმე ადგილას კადრებით მიდიოდა და პირველად სწორედ მაშინ მომიხდა აპარატის წინ დგომა. ეს იმიტომ აღვნიშნე, რომ იმავე წელს კოტე მარჯანიშვილი იღებდა „კომუნარის ჩიბუხს“. ამ ფილმში მეც მქონდა ეპიზოდური როლი.

ასე შეიძლება მოიხაზოს ჩემი შემოქმედების სათავე. შემდგომი გზა, ასე თუ ისე, ცნობილია. მხოლოდ ერთს დავუმატებ: თეატრის სცენაზე მითამაშია 100-ზე მეტი, ხოლო კინოში — 200-მდე.

**— ცნობილია თქვენი და რეჟისორების ურთიერთგაგების შესახებ. ზოგიერთი დიდი მსახიობისაგან განსხვავებით თქვენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზედმეტს არ ჭირვეულობთ...**

— მაღალი შემოქმედება მხოლოდ და მხოლოდ იქ იბადება, სადაც მსახიობისა და რეჟისორის ურთიერთგაგებაა. თუ მათს შემოქმედებაში კავშირი არ არის, არა მგონია, იქ რაიმე გამოვიდეს, ან თუ გამოვა — შემთხვევით.

**— ბატონო სერგო, ისიც ცნობილია, თუ როგორ გულმოდგინებით მუშაობთ თითოეულ როლზე. გვიამბეთ თქვენი მუშაობის სტილზე და, საერთოდ, იმაზე, თუ როგორ უნდა მუშაობდეს ჭეშმარიტი ხელოვანი.**

— როლზე მუშაობის კანონი არ არსებობს. მას თვითონ იმუშავებს ინდივიდი. ერთია მხოლოდ, თუ შემოქმედს ესა თუ ის სახე ხიბლავს, აწუხებს, არა მგონია, სხვა რაიმეთი იყოს დაკავებული მისი გონება. რა თქმა უნდა, თუ ის ჭეშმარიტი შემოქმედია. მეც ასე ვმუშაობ...

**— რომელია თქვენი საყვარელი ქართველი რეჟისორი თეატრში, კინოში?**

— მე სცენაზე კოტე მარჯანიშვილმა ამადგმევინა ფეხი, ჩემი სათაყვანებელი რეჟისორიც ის არის. სიკო დოლიძის ბევრ ფილმში მიმიღია მონაწილეობა. ბოლო წლებში შემოქმედებითად ძალზე დავმეგობრდით მე და რეზო ჩხეიძე. ასე რომ, ვგონებ, გასაგებია...

**— თქვენს მიერ შესრულებული როლებიდან რომელი უფრო გიყვართ?**

— ამ შეკითხვას ხშირად მაძლევენ, მაგრამ ყოველთვის ასე ვპასუხობ და თქვენც ასევე გეტყვით: მე არა მაქვს განსაკუთრებულად საყვარელი როლი, ყოველი სახისადმი ერთნაირად ვარ განწყობილი. ხომ არის როლები, რომლებიც არ გამოვიდა, მე ისინიც მიყვარს. უფრო მეტიც, იმ როლებმა შემაძინევინეს უფრო ფასეული და დიდი. ჩემი როლები შვილებად მყავს წარმოდგენილი. დედას ხომ არ შეუძლია რომელიმე მათგანს დააკლოს სითბო და ზრუნვა... ამას იმიტომ ვამბობ, რომ მე არ მითამაშია როლი, რომელზედაც ღამეები არ მეთენებინოს, და თუ რომელიმე მათგანი უღლეური აღმოჩნდა, ისინი მაინც ღვიძლია, რადგან მათ უღლეურობაში მე უფრო მიმიძღვის წვლილი. ამიტომ მიყვარს ყველა ერთნაირად.

**— გიორგი მახარაშვილი თქვენი შესაძლებლობების ზღვრად ერთი წუთითაც არ შეიძლება ჩაითვალოს. როგორი როლის შესრულებაზე ოცნებობთ?**

— ვოცნებობ ისეთ როლზე, რომელშიც ჩემს ფიქრსა და წუხილს ჩავაქსოვ. ეს ფიქრი და წუხილი კი უფრო საზოგადოებრივია, ვიდრე პირადული.

**— რა მიგაჩნიათ ქართული კინემატოგრაფიის წარმატებად და რაში უნდა ვეძიოთ მისი ნაკლი?**

— ჩვენი კინემატოგრაფიის წარმატებად უნდა მივიჩნიოთ ის ენერგიული ახალგაზრდობა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ტალღებივით მოდის. მე მხედველობაში აქ უფრო რეჟისურა და დრამატურგია მაქვს. მართალია, ქართველ დრამატურგთა წარმატებები ცვალებადი და ზიგზაგობრივია, მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, რომ ხვალ მსოფლიოს გასაგონად იტყვიან თავის სიტყვას.

**— დაგვისახელეთ ერთი საუკეთესო ქართული კინოსურათი.**

— „ელისო“.

**— რომელია თქვენი საყვარელი ქართველი მწერალი?**

— მე არ შემიძლია რომელიმე ერთის დასახელება. საქართველო განებივრებულია დიდი მწერლებითა და პოეტებით, ამიტომ რომელიმე მათგანის გამოყოფა მიძნელდება.

**— საყვარელი ქართველი მხატვარი?**

— ფიროსმანი, ულაპარაკოდ.

**— რას იტყვით ქართული თეატრისა და კინოს ახალგაზრდა მსახიობებზე?**

— მთლად ცუდად არ არის საქმე, მაგრამ მათგან მეტს მოველით.

**— სად უფრო გსიამოვნებთ მუშაობა — თეატრში თუ კინოში?**

— თეატრში. კინოში მუშაობა ტანჯვაა.

**— დაგვისახელეთ საზღვარგარეთელი კინორეჟისორი და კინომსახიობი, რომლებსაც სხვებზე მეტად აფასებთ.**

— ბერგმანი და ჯულიეტა მაზინა.

**— საინტერესოა, სხვა რა საქმიანობა გიტაცებთ?**

— თუ დასვენების დროს საქმიანობას გულისხმობთ, 20 წელზე მეტია, ერთი წუთითაც არ დამისვენია. მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ავად გავხდი ამ ცოტა ხნის წინათ და მაშინ „ვისვენებდი“ საწოლზე. ისე კი, წუთშესვენების დროს, შვილიშვილებთან ვერთობი ხოლმე.

**— ხომ არ გაიხსენებთ რაიმე კურიოზულ შემთხვევას თქვენი შემოქმედებიდან?**

— კურიოზული შემთხვევა ის იყო, რომ რამდენჯერმე გადავრჩი სიკვდილს გადაღების დროს. ერთხელ პალიასტომის ტბაში ვიხრჩობოდი. „ჯარისკაცის მამაზე“ მუშაობისას კინაღამ ტანკმა გამიტანა და ასე კიდევ რამდენჯერ...

**— ბატონო სერგო, თქვენ ერთ დროს ფეხბურთელიც იყავით, თუმცა არა ისე ცნობილი, როგორც მსახიობი. რას იტყოდით ჩვენს ფეხბურთელებზე, ხართ თუ არა მათი გულშემატკივარი?**

— ფეხბურთმა გარკვეული როლი ითამაშა ჩემს შემოქმედებაში. გამომიმუშავა ნებისყოფა, გამძლეობა, შემაჩვია შრომას. ზუსტად ეს თვისებები აკლიათ, ჩემი აზრით, ქართველ ფეხბურთელებს.

**— როგორია თქვენი აზრი ქუთაისში ოპერის თეატრის გახსნის თაობაზე?**

— შეიძლება ითქვას, ეს ამბავი დაგვიანებულიც იყო. ყველა პატრიორტი მამულიშვილი კმაყოფილი უნდა იყოს ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენით.

* * *

**გეგმებზეც მესაუბრა, დიდ და საინტერესო ჩანაფიქრებზე. ზოგი შეასრულა კიდეც. ბევრი ვერ მოასწრო. რა ვიცოდი, რომ ეს ჩემი ბოლო შეხვედრა იქნებოდა დიდ მსახიობთან. მალე სამხედრო სამსახურში გამიწვიეს. იქ შევიტყვე მისი უეცარი სიკვდილი. იქ ერთხელ კიდევ დავინახე, როგორ უყვარდათ ზაქარიაძე სხვადასხვა ეროვნების უბრალო ჯარისკაცებს. იმ დღეს თითქმის ყველა ჩუმად და უხალისოდ იყო — რუსი და უკრაინელი, უზბეკი და მოლდაველი... ბიჭები მე მისამძიმრებდნენ, როგორც ქართველს და ისეთი თვალებით მიყურებდნენ, თითქოს მათაც მახლობელი ადამიანი დააკლდათ, სერგო ზაქარიაძე ხომ ყველა ჯარისკაცის მამა იყო.**

**ვილენ მარდალეიშვილი.**

1969 წელი

◎ „ნოვატორები!“

# „ოპიუმი“ — წყალში!

## პოლიციელებმა უდანაშაულოთა დაჭერის ახალი მეთოდი გამოიგონეს!

**საბრძოლო იარაღებისა და ნარკოტიკული ნივთიერებების ჩადება პიროვნებების ავტომანქანებში თუ შარვლის ჯიბეებში პოლიციელთათვის ძველი, აპრობირებული მეთოდია. ამჯერად მათ დაკავების ახალ მეთოდს მიმართეს.**

ხობის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს „ალიანსი საქართველოსათვის“ და „ახალი მემარჯვენეების“ ხობის შტაბისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ხობის საკრებულოს წევრი, ყულევის ტერმინალის ოპერატორი ელიშერ ჯოხავა. დაკავების შემდეგ ის მოინახულა სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ბაგრატ ქირიამ, რომელმაც ახსნა-განმარტება ჩამოართვა დაკავებულს.

**„ვარ ხობის საკრებულოს ერთადერთი ოპოზიციური დეპუტატი, აქტიურად ვმონაწილეობ საპროტესტო აქციებში და ხობის საკრებულოს მუშაობაში. ვაპირებდი საკრებულოში ფრაქციის შექმნას. ამან გამოიწვია ხელისუფლების გაღიზიანება. გარდა იმისა, რომ ვეწევი პოლიტიკურ საქმიანობას, ვმუშაობ ყულევის ნავთობტერმინალში.**

**ამას წინათ სამსახურის მიკროავტობუსით ვბრუნდებოდი სახლში. სოფელ შუა ხორგასთან მიკროავტობუსს წინ გადაუდგნენ პოლიციელები პოლიციის უფროსის კობა ხუბულავას ხელმძღვანელობით. გადმომიყვანეს ავტობუსიდან და დამიწყეს ჩხრეკა — ეძებდნენ იარაღს! მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერაფერი აღმოაჩინეს. ამაზე გაბრაზდნენ პოლიციელები და... სრულიად უდანაშაულო კაცი წამიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. იქ ყოფნის პერიოდში მომწყურდა და წყალი მოვითხოვე. დავლიე პოლიციელების მიერ მოტანილი წყალი. ამის შემდეგ წამიყვანეს შემოწმებაზე და დადგინდა, რომ აღმომაჩნდა „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული ნივთიერება. არადა, ნარკოტიკული ნივთიერება არასოდეს მიმიღია! დარწმუნებული ვარ, რომ აღნიშნული ნივთიერება ჩემს ორგანიზმში მოხვდა პოლიციის შენობაში მიღებული წყლის „დახმარებით“. ჩემთვის უცნობია, რა წერია დაკავების ოქმში, ვინაიდან ხელი მომაწერინეს ცარიელ ფურცლებზე. ბუნებრივია, ვიმყოფებოდი დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ“,** — აცხადებს ელიშერ ჯოხავა.

სახალხო დამცველის რწმუნებულმა ბაგრატ ქირიამ მასალები სოზარ სუბარს — სახალხო დამცველს გადაუგზავნა.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი.**

ჭადრაკი

# ჯობავამ ყველას აჯობა



**თბილისის მერიის თასის გათამაშებაზე (64 ათასი ლარი საპრიზო ფონდით) 9 ქვეყნის 208 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ტურნირზე შესანიშნავად იასპარეზა ბაადურ ჯობავამ, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 8 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.**

ბაადური წარმოშობით გალელია. თანატოლებში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა 18-წლიანებში მსოფლიოს პირველობაზე მეორე-მესამე ადგილები გაიყო. დიდებში ქვეყნის ჩემპიონატებზე ორჯერ (2001, 2004 წ.წ.) გაიმარჯვა. 2000 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე გუნდთან ერთად მე-6 ადგილი დაიკავა, 2004 წელს კი მსგავს შეჯიბრებაზე ორი ოქროს მედალი დაიმსახურა – მეოთხე დაფაზე 10 შესაძლებლიდან 9 ქულით პირველი ადგილის და ტურნირზე საუკეთესო შედეგისთვის. 2003 წელს დუბაისა და 2006 წელს მოსკოვის „აეროფლოტის" ტურნირებზე მთავარი პრიზები მოიპოვა. წლეულს გაზაფხულზე ბუდვაში (ჩერნოგორია) ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი ხვდა... ეს არის მცირედი ჩამონათვალი იმ ჯილდოებისა, რომლებიც ამ ნიჭიერი დიდოსტატის სპორტულ კოლექციას ამშვენებს. საგულისხმოა ისიც, რომ თბილისის მერიის თასზე გამარჯვებით ბაადურ ჯობავამ სარეიტინგო ქულებიც შეიმატა და 2700-იანთა ზღვარს მიუახლოვდა.

ჭადრაკის სასახლეში დამთავრებული ტურნირის გამარჯვებულს თითო ქულით ჩამორჩნენ და უკეთესი კოეფიციენტით შესაბამისად, მეორე-მეცხრე ადგილები გაინაწილეს მერაბ გაგუნაშვილმა, მიხეილ მჭედლიშვილმა, მიხეილ ქობალიამ, თორნიკე სანიკიძემ, ნანა ძაგნიძემ, ზურაბ ჯავახაძემ, ვალერი ნევეროვმა, ლევან ფანცულაიამ და დავით ჯოჯუამ.

ქალებში პირველობა ძაგნიძეს ხვდა, 6,5-6,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილები ლელა ჯავახიშვილმა, სოფიკო გურამიშვილმა და ინგა ჭარხალაშვილმა გაიყვეს.

ტურნირის საზეიმო დახურვისას გამარჯვებულებსა და პრიზიორებს წარმატება მიულოცეს და ფულადი ჯილდოები გადასცეს თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ, თბილისის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ხოსრუაშვილმა, დიდოსტატმა თამაზ გიორგაძემ. შეჯიბრების ორგანიზატორთა თქმით, ტურნირი ტრადიციული იქნება. საპრიზო ფონდი კი საგაისოდ გაიზრდება.

**ლექსო ცინცაძე**
**ავტორის ფოტო.**

კარატე

# 1200 სპორტსმენის მონაწილეობით



**არმიის სასპორტო კლუბის დარბაზში დამთავრდა კარატისტთა ევროპის თასის გათამაშება – „თბილისი 2009". ტატამზე საასპარეზოდ ოთხი ქვეყნის 1200 სპორტსმენი გამოვიდა სხვადასხვა ასაკში. კუმიტესა და კატაში ყველას მასპინძლებმა აჯობეს. წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ დავით ტყებუჩავა (60კ, ირაკლი ტყებუჩავა (65კ, ჰენრი ვეკუა (70კ, ლევან გორელაშვილი (75კ, გიორგი მსხვილიძე (80კ და დავით მამნიაშვილი (+80კ. სტუმართაგან თავი გამოიჩინეს: აზერბაიჯანელებმა ნაგი ლაჯაბლიმ (II ადგილი, 60 კგკ, აიაზარ ალახვერდოვმა (III, 65კ, ჯახიდ საფაროვმა (II, 70კ, ფიზელი მახრამოღლიმ (III, 70კ, ათას ალახვერდიევმა (III, 75კ და სომეხმა გაგენ ირიციანმა (II, +80კ.**

კატაში პირველ ადგილებზე გავიდნენ: გურამ ჯიჯელავა, მერაბ თურქია და მამუკა ყურაშვილი.

ქალთა კუმიტეში უძლიერესები იყვნენ დიანა დარჩიაშვილი (60კ და სვეტლანა ფრუიძე (70კ, რომლებმაც, შესაბამისად, თათია თურქია და ხატია კაველიძე დაამარცხეს.

გამარჯვებულები და პრიზიორები მედლებითა და დიპლომებით მე-8 დანის მფლობელმა იაპონელმა ჰიტოში კასუიამ და საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ დააჯილდოვეს.

**ცნობისთვის:** წლეულს ოქტომბერში გადაწყდება, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ლონდონის თამაშების პროგრამის სპორტის რომელ სახეობებს დაამატებს. კარატე თავისი რეიტინგით ექვს სახეობას შორის მეორე-მესამე ადგილებს იყოფს. ასე რომ, გამორიცხული არ არის, იგი 2012 წლის ოლიმპიადაზე ვიხილოთ.

**გიორგი გაგუა**

**სურათზე: ჰიტოში კასუია აჯილდოებს საქართველოს ორგზის „ოქროს კარატისტს", მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონ ლევან გორელაშვილს.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

მხარე

# კაცი წავიდა, სახელი დარჩა

**გორში გამორჩეული პიროვნება ცხოვრობდა – მერაბ ონიაშვილი, ჩინებული მეოჯახე და მოქალაქე. ქალაქის სამშენებლო ტრესტის მოძრავ-მექანიზებული კოლონის მთავარ მექანიკოსს რამდენიმე საყურადღებო დაპატენტებული გამოგონება ჰქონდა. მრავალმხრივი სპორტსმენც იყო: ფლობდა თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონის ტიტულს, იყო პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე.**

30 წლის ასაკში ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე მოულოდნელად შეწყდა. მეუღლის, მარინე ტაბატაძის დიდი ძალისხმევით ოჯახი არ წაქცეულა. მარტოხელა ქალმა სანაქებო შვილები დაზარდა: თინათინ და ალექსანდრე ონიაშვილები ნორჩ გამომგონებელთა შორის საქართველოს და საერთაშორისო ოლიმპიადების მრავალგზის გამარჯვებულები არიან. ალექსანდრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია, თინათინი წლეულს შეაღებს უმაღლესი სასწავლებლის კარს.

ჭადრაკში მერაბ ონიაშვილის მემორიალი, რომელიც ოჯახის დაფინანსებით და ხელშეწყობით მოეწყო, ქალაქის სპორტული ცხოვრების მოვლენად გადაიქცა. მასში მერაბის ბევრი მეგობარი მონაწილეობდა. ეს-ეს არის შეჯიბრება დამთავრდა და მთავარმა მსაჯმა, ეროვნულმა ოსტატმა ჭადრაკში გურამ მუკნიაშვილმა შედეგები გამოაცხადა. ტურნირის გამარჯვებულია 15 წლის პერსპექტიული მოჭადრაკე ლექსო ხახუტაშვილი. მან 15 შესაძლებლიდან 13,5 ქულა მოაგროვა, ცნობილი პოეტი ჯემალ ინჯია 12 ქულით მეორე ადგილზე გავიდა, მას ნახევარი ქულით ჩამორჩა კვების მრეწველობის ინჟინერ-ტექნოლოგი გურამ მთვარელიძე. იგი მესამე ადგილზეა.

გამარჯვებულებს ფულადი პრემიები გადასცა მერაბის ვაჟმა ალექსანდრე ონიაშვილმა.

**გურამ ვაშაკიძე**

კრივი

# კლიჩკო უმცროსის დამაჯერებელი გამარჯვება

**როგორც ჩვენი გაზეთის შაბათის ნომრით გაცნობეთ, იმ დღეს გერმანიის ქალაქ გელზენკირხენში, „შალკეს" სტადიონზე გაიმართა უკრაინელი მოკრივის ვლადიმერ კლიჩკოს ორთაბრძოლა უზბეკ რუსლან ჩაგაევთან.**



70 ათასი კრივის მოყვარული მართლაც საინტერესო დუელის მოწმე გახდა. მართალია, სპეციალისტები უპირატესობას ჩაგაევს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ უმცროსმა კლიჩკომ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ „როგორც ქუხს – ისე არ წვიმს". ბრძოლა ვლადიმერის უპირატესობით წარიმართა და მისივე გამარჯვებით დამთავრდა. იგი მეორე რაუნდიდან გააქტიურდა, როცა მძლავრი დარტყმით მეტოქე რინგზე დაანარცხა, ეს მეხუთე რაუნდშიც განმეორდა. ერთადერთი ძლიერი დარტყმა ვლადიმერმა მერვე რაუნდში მიიღო, ისიც ბრძოლის შეჩერების შემდეგ. თუმცა მალე, მეცხრე რაუნდში ჩაგაევს წარბი გაუსკდა და მსაჯებმა ბრძოლა შეწყვიტეს.

ვლადიმერ კლიჩკოს ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება ჩაეთვალა.

წყალბურთი



# ექსიუგოსლავები – „ლაგუნა ვერეზე"

**უკვე გაუწყეთ, რომ ექსიუგოსლავმა წყალბურთელებმა – იოვან პოპოვიჩმა, მარკო კორდიჩმა, ვლადიმერ მარკოვიჩმა, მარკო იელეზიმ და მარკო ელაჩამ საქართველოს მოქალაქეობა მიიღეს და 2010 წლიდან მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირებზე ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ**. გუშინ ისინი „ლაგუნა ვერეს" ეწვივნენ და საქართველოს ნაკრების წევრებთან ერთად ივარჯიშეს, შემდეგ ორმხრივ თამაშშიც მიიღეს მონაწილეობა. ამ ფოტოზე სწორედ ერთ-ერთი მომენტია აღბეჭდილი.

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

რაგბი

# „ლელოს" ვერ აჩერებენ



**საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში მერვე ტურის შეხვედრები გაიმართა, თუმცა ზოგიერთ გუნდს მისი ნახევარიც არ უთამაშია.**

ჯერჯერობით უდანაკარგოდ იბრძვის „ლელო", რომლის ანგარიშზეცაა ხუთი მოგება. გასულ უქმეებზე ლელოელებმა სტუმრად „ბათუმი XV" დაამარცხეს 39:28. თბილისის „ლოკომოტივმა" რუსთავში „ხარებს" დაძაბულ პაექრობაში აჯობა 9:8, „აკადემიამ" კი „უნივერსიტეტს" მოუგო 12:5. ქუთაისში „აიასა" და „ვისოლი ყოჩების" მატჩი, სამწუხაროდ, 74-ე წუთზე ჩაიშალა, როცა სტუმრები თამაშს იგებდნენ 22:20.

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| „ლელო" | 5 | 5 | 0 | +94 | 10 |
| „ლოკომოტივი" | 5 | 4 | 1 | +27 | 8 |
| „აკადემია" | 8 | 4 | 4 | -2 | 8 |
| „ბათუმი XV" | 8 | 4 | 4 | -25 | 8 |
| „ვისოლ ყოჩები" | 4 | 3 | 1 | +23 | 6 |
| „აია" | 6 | 2 | 4 | +10 | 4 |
| „ხარები" | 8 | 2 | 6 | -53 | 4 |
| „უნივერსიტეტი" | 6 | 1 | 5 | -70 | 2 |

ინტერნეტიდან

# ტრაგიკული ვარჯიში



**ავსტრალიაში ვარჯიშის დროს მიღებული სერიოზული ტრავმით გარდაიცვალა 19 წლის სპორტული ტანმოვარჯიშე ქალიშვილი მიჩელ მეიტლენდი, კვისლენდის შტატის ყოფილი ჩემპიონი. ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაიწყო ტრაგიკული ინციდენტის გამოძიება.**

18 ივნისს უფროს სპორტსმენ ქალებთან ვარჯიშის დროს მიჩელი გადმოვარდა აკრობატული ბილიკიდან, იატაკიდან 60 სანტიმეტრის სიმაღლეზე რომ იყო დაყენებული. ის თავით დაეცა და მძიმე მდგომარეობაში გადაიყვანეს ქალაქ ტაუნსვილის ჰოსპიტალში, სადაც 19 ივნისს გარდაიცვალა.

კვისლენდის შტატის ტანვარჯიშის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის უეინ ჰილის განცხადებით, მისთვის ბოლომდე ნათელი არაა ინციდენტის ვითარება. სპორტსმენი აკრობატული ბილიკიდან შორს დაეცა და თავი იატაკს დაარტყა. მისი თქმით, იატაკი ბილიკის ირგვლივ ტანვარჯიშული ლეიბებით იყო დაფარული.

# ბოულინგის ფანატიკოსი

**ბოულინგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტული თამაშია მამაკაცებისთვის. მხოლოდ აქ შეიძლება, მშვენივრად შეუთავსოთ ერთმანეთს ფიზიკური დატვირთვა და ლუდი (იქნებ, უფრო მაგარი სასმელიც). აბა, სად შეიძლება თავის გამოჩენაც და სხვების თვალიერებაც (სხვებში, რასაკვირველია, ქალთა სქესის ლამაზი წარმომადგენლები იგულისხმებაქ?**



ის კი, რომ ბოულინგის მოთამაშე ლამაზი ქალიშვილის ყურება თვალისა და გულის შემძვრელი სანახაობაა, დავას არ იწვევს.

ამას წინათ მამაკაცების ჟურნალმა Hombre გადაწყვიტა თავისი მკითხველების გახარება ბოულინგის ფანატიკოსის, მექსიკელი მოდელის პაოლა პოლის ფოტოსესიით.

„ჰე, ვინ მოდის ბოულინგის სათამაშოდ?" – მოუწოდებს პაოლა. აბა, წარმოიდგინეთ, როგორ დაირაზმებოდნენ მარტო ბოულინგის კი არა, ლამაზმანების მოყვარულებიც.

## ◉ „ელიტა“

**(მეთექვსმეტე გვერდიდან)**

– 20 წლის წინათ ქართველებმა „მოი ადრეს ნე დომ ი ნე ულიცას“ უარი ვუთხარით და გვინდოდა, რომ კონკრეტული მისამართიც გვქონოდა და ადგილიც რუკაზე. მაშინ პატრიოტიზმი და ეროვნული იდენტიფიკაცია რაღაც ახალ გრძნობას, ახალ „რეაქტიულობას“ ბადებდა ჩვენში, განსაკუთრებით 9 აპრილის შემდეგ და ეს გასაგებიცაა. პატრიოტიზმი, ასე ვთქვათ, დაუპირისპირდა საბჭოურ „კოსმოპოლიზმს“. მაგრამ რატომ ვერ გასძლო ამ იდეამ დიდხანს? რატომ აღმოჩნდა 31 მარტის რეფერენდუმი ფიქცია? რატომ დამთავრდა ერთიანობის ეს იდეა იქვე, სადაც დაიწყო? თან დამთავრმხოლოდ ერთი პატარა სცენაა, რომელსაც საქართველოში არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. ამ სპექტაკლში ხან შუქი ქრება, ხან მსახიობებს ტექსტი ავიწყდებათ, ხან სუფლიორს ჩასთვლემს... უკმაყოფილო მაყურებელი გამუდმებით ბუზღუნებს, მაგრამ მაინც ჯიუტად ესწრება წარმოდგენას, რადგან სხვა თეატრი უბრალოდ არ არის... თუმცა მათი რიცხვი ნელ-ნელა მაინც მცირდება და არავინ იცის სად ქრება ერთგული პუბლიკა.

მითხარით ქართველების თუნდაც ერთი მანიფესტაციის შესახებ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გასული წლის ოქტომბრის შემდეგ... ჩვენ ეს ომი რუსებზე, ოსებზე და აფხაზებზე ადრე დავამთავრეთ და მას შემდეგ ჯერ ბარაკ ობამას არჩევას ველოდებოდით,

# პაატა ქურდაძე: ჩვენი „სულიერი მისია“ მესაზღვრეობაა...

და ყველაზე საშინელი სცენარით? 2008-ის 1 სექტემბერს მილიონნახევარი ქართველი ერი ჯაჭვში ჩადგა. მე მაშინვე გულისხეთქვით დავწერე, რომ ეს ერთიანობა დიდხანს ვერ გასტანსმეთქი და საუბედუროდ, მართალი აღმოვჩნდი...

– მე ყოველთვის ვთვლიდი, რომ ადამიანები სხვისი ღმერთის სიძულვილში ბევრად უფრო დიდი ენთუზიაზმით ერთიანდებიან, ვიდრე საერთო ღმერთის სიყვარულში. ჩვენ, ქართველები არა ვართ გამონაკლისნი. მხოლოდ კონცენტრაცია არ შეგვიძლია დიდ ხნით ერთიდაიგივე არც მტერზე, არც მოყვარეზე. ჩვენს საკუთარ გონებას, რომელიც ცელქი ბავშვივით გამუდმებით აქეთ-იქით გაგვირბის, დაჭერობანას ვეთამაშებით და ენერგიას უსარგებლოდ ვფლანგავთ. ჩვენ არც საბჭოთა კოსმოპოლიტები ვყოფილვართ არასოდეს, და არც პოსტსაბჭოთა პატრიოტები. რადგან ერთიცა და მეორეც დიდ შინაგან კონცენტრაციას, პასუხისმგებლობასა და ორგანიზებულობას მოითხოვს. ჩვენ კი სელინჯერის ჭვავის ყანაში მოთამაშე ერი ვართ, ხან ამერიკელები ჩაგვავლებენ ხელს, პეპლების დევნაში გართულნი ხრამში რომ არ გადავიჩეხოთ, ხან რუსები, ხანაც საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი საკუთარი ენერგიული პერსონით.

ჯაჭვი, რომელზეც თქვენ საუბრობთ, ჩვენი ეროვნული თეატრის მერე მისი პრეზიდენტობის პირველი ეიფორიის გასვლას. ეხლა ველოდებით მის მედვედევთან შეხვედრას... ხელისუფლებისგან კი ვითხოვთ იმას, რისი გაკეთებაც მას არ შეუძლია, უბრალოდ ეს მის ძალებსა და კომპეტენციას, თუ გნებავთ, მის ნიჭს აღემატება. ისევე, როგორც – ჩვენსას. ნებისმიერი ხელისუფლება ხალხის სახეა. ისევე როგორც ადამიანი – ღმერთის.

ჩემი საფრანგეთში ცხოვრების 18 წლის მანძილზე საქართველო პირველი ომში დამარცხებული ქვეყანაა, რომლის დიასპორა აგრესორი ქვეყნის საელჩოსთან მხოლოდ ერთხელ მივიდა მანიფესტაციის გასამართად. სამაგიეროდ, მთელი ჩვენი „სამეგობროს“ და „მტრების“ დედაქალაქ ბრიუსელში ვიღაცამ საკანი აღმართა უცნობისათვის სოლიდარობის ნიშნად... ჩვენთვის ჰიპოტეტიურად გაყალბებული არჩევნები უფრო მტკივნეული აღმოჩნდა, ვიდრე გასული წლის აგვისტოს ომი და დიდი ხნით, თუ არა, სამუდამოდ ოკუპირებული ტერიტორიები.

ქართველებმა უნდა ვისწავლოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობის ტარება. ეს ერთადერთი საშუალებაა ამ დეორგანიზებული თეატრის ასე თუ ისე დასალაგებლად. შემდეგ კი იქნებ სპექტაკლის ჰარმონიულობაზეც შევძლოთ მუშაობა.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ. ნიუ-იორკი-პარიზი**

## ხსოვნა

# დიმიტრი მარგალიტაძე

გარდაიცვალა ჩვენი ქვეყნის ამაგდარ და ღირსეულ ადამიანთა ძველი თაობის გამორჩეული წარმომადგენელი, ღვაწლმოსილი სახელმწიფო მოხელე და მოღვაწე, სანიმუშო მოქალაქე და პიროვნება დიმიტრი ერმილეს ძე მარგალიტაძე.

წავიდა ჩვენგან ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანი, ქვეყნისა და ხალხის, ოჯახისა და ნათესავების, მეგობრებისა და ახლობლების წინაშე ვალმოხდილი ნამდვილი ქართველი ინტელიგენტი, მისაბაძად კეთილშობილი, მაღალი ზნეობითა და ღირსებებით შემკული ადამიანი, უმწიკვლო რეპუტაციისა და შეუვალი ავტორიტეტის მქონე უაღრესად გაწონასწორებული პიროვნება.



არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარი ცხოვრებით და საქმიანობით სანიმუშო მაგალითს იძლევიან. სწორედ ასეთი იყო დიმიტრი მარგალიტაძე. მან ღირსეული და შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, რომლის აქტიური მონაწილეც იგი იყო, 1950 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. იყო ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი ხელმძღვანელ თანამდებობებზეა ხელისუფლების რაიონულ, საქალაქო და უმაღლეს ორგანოებში. 1975 წლიდან პენსიაში გასვლამდე იყო საქართველოს სახალხო კონტროლის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. 1983 წლიდან აგრძელებდა აქტიურ საქმიანობას საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

დ. მარგალიტაძე მაღალპროფესიულ და ნაყოფიერ საქმიანობას შესანიშნავად უხამებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი იყო საქართველოს სასტენდო სროლის ფედერაციის თავმჯდომარე და მის სახელთან არის დაკავშირებული სპორტის ამ სახეობაში მიღწეული არაერთი წარმატება. იმავდროულად იგი საქართველოს მონადირეთა საზოგადოების აქტიური წევრი და მათი დიდი მეგობარი და მოამაგე იყო.

დ. მარგალიტაძის ცხოვრების ნათელი გზა და მოღვაწეობა არაერთი სახელმწიფო ჯილდოთია აღნიშნული, მათ შორის საბრძოლო ორდენებით და მედლებით.

ათეული წლების მანძილზე ჩვენი ქვეყნისა და ქალაქის საზოგადოებრივი ცხოვრების ეპიცენტრში მყოფი, იგი ყველასაგან გამოირჩეოდა თავისი უნიკალური ადამიანური თვისებებით და ხასიათით. იყო სულმნათი, ღვთისნიერი ადამიანი. მეგობრებთან, ახლობლებთან, კოლეგებთან ურთიერთობისას ყოველთვის ახერხებდა გასაოცარი სითბოსა და უშუალო ატმოსფეროს შექმნას.

სათანადო ღირსებით წარმოჩენილი დიმიტრი მარგალიტაძის ცხოვრების წესი, განგებისგან მონიჭებული ნატიფი გარეგნობა და ნიჭიერება განუმეორებელ ხიბლს ანიჭებდა მის პიროვნებას. მას ყველა დიდ პატივს სცემდა, აფასებდა და უყვარდა.

მაღალი დონის პროფესიონალი, უმაღლესი ზნეობითა და ადამიანური ღირსებებით გამორჩეული ადამიანი, დიდებული ოჯახის თავკაცი, თავმდაბალი, დარბაისელი, მოსიყვარულე მეგობარი და ახლობელი, ასე იცნობდნენ დიმიტრი მარგალიტაძეს და ასეთივე დარჩება იგი მისი გარდაცვალებით განცდილ გულისტკივილთან ერთად მისი მრავალრიცხოვანი კოლეგების, აღზრდილების, მეგობრების, ახლობლებისა და ნათესავების ხსოვნაში.

მისი სიყვარულით და კაცობით სავსე გულის სითბო განფენილია მთელ საქართველოში, რამეთუ მისი სულის ნაწილი დარჩა ყველგან, სადაც კი მას ფეხი დაუდგამს. იგი მარად ზესვლით ივლის ზეციურ საქართველოში.

დ. მარგალიტაძეს დავიწყება არ უწერია. მის ნათელ ხსოვნას მუდამ პატივი მიეგება და წმინდა სანთლები დაენთება მადლიერი ქართველი საზოგადოების მრავალი წარმომადგენლისაგან, მათ შორის ოჯახის, ახლობლების, მეგობრების და ნათესავების მხრიდან.

ახლობლები

შპს „სმარტ გრუპი“ აცხადებს ტენდერს ქალაქ თბილისში ფხოვის ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე საოფისე შენობა-ნაგებობის ასაშენებლად. დაინტერესებულ კომპანიებს, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ 2009 წლის 15 ივლისამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქუჩა №3. ტელ: 877 42 51 11.

საქართველოს ყოფილი ვაჭრობის სამინისტროს აპარატის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, მისაბაძი პიროვნებისა და ღირსეული მოქალაქის

დიმიტრი მარგალიტაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს, მეგობრებს და კოლეგებს.



რევაზ და ზურაბ მიქაბერიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი ბიძის

დიმიტრი მარგალიტაძის

გარდაცვალებას.

მზია და სპარტაკ ყურაშვილები, ლუიზა და როინ მეტრეველები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან

გულიკო ნიჟარაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

## ◉ „ექსპო ჯორჯია“

# სამედიცინო ტექნოლოგიების და კოსმეტიკის საერთაშორისო გამოფენა

**საგამოფენო ცენტრმა „ექსპო ჯორჯიამ“ სამედიცინო ტექნოლოგიების, ლაბორატორიული აღჭურვილობის, სტომატოლოგიისა და ფარმაცევტიკის მე-9 საერთაშორისო სპეციალიზებულ გამოფენას და კოსმეტიკისა და ესთეტიკური მედიცინის მე-4 საერთაშორისო გამოფენას უმასპინძლა.**

35 სტენდზე წარმოდგენილი იყო 80-ზე მეტი კომპანიისა და საწარმოს პროდუქცია: ელექტრომედიცინა, ტექნიკა ლაბორატორიებისათვის, საავადმყოფოების აღჭურვილობა, სტომატოლოგია, ოფთალმოლოგია, დეკორატიული და სამკურნალო კოსმეტიკა, კანის დიაგნოსტიკა, პარფიუმერია და სხვ.

დამთვალიერებლებს საშუალება ჰქონდათ შეხვედროდნენ ამ დარგების პროფესიონალებს, მოესმინათ კვალიფიციური სპეციალისტების რჩევა და გაცნობოდნენ თანამედროვე ტექნოლოგიებს.

გამოფენის პარალელურად, გაიმართა პრეზენტაციები, სემინარები და მასტერ-კლასები.

**ელგუჯა ნადარეიშვილი**
**ავტორის ფოტო.**





## ◉ ინფორმაცია

### წნევიანებო, დაემშვიდობეთ „რაუნატინს“!

**საქართველოს აფთიაქებში პრეპარატი „რაუნატინი“, შესაძლოა, აღარ გაიყიდოს. როგორც ფარმაცევტული კომპანია „ავერსიდან“ იტყობინებიან, პრეპარატს რეგისტრაციის ვადა გაუვიდა და მწარმოებელმა პრეპარატი ხელახალ რეგისტრაციაში აღარ გაატარა.**

როგორც „ავერსში“ აცხადებენ, ჯერჯერობით უცნობია, გაივლის თუ არა პრეპარატი ხელახალ რეგისტრაციას. თუ მწარმოებელი პრეპარატს რეგისტრაციაში არ გაატარებს, „რაუნატინი“ აფთიაქებში საერთოდ აღარ გამოჩნდება.

ჯი-ეიჩ-ენი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

## ინფორმაცია

### სოფლის გზები მოიხრეშება

**გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში შიდა საუბნო გზების მოხრეშვის სამუშაოები მიმდინარეობს.**

**გზების მოხრეშვა „სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ორ ეტაპად ხორციელდება.**

პირველ ეტაპზე სამუშაოები მუნიციპალიტეტის 24 სოფელში 19 მარტიდან 20 მაისამდე ჩატარდა, რისთვისაც 148 800 ლარი გაიხარჯა. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოების მეორე ეტაპი, რაც გულისხმობს გზების მოხრეშვას დამატებით 6 სოფელში – ზელდულეთში, ქვემო სობისში, ახალუბანში, პატარა გარეჯვარში, მეჯვრისხევის ფაბრიკასა და მეღვრეკისში. მეორე ეტაპი, რომლისთვისაც 28 100 ლარია გათვალისწინებული, 11 ივნისს დაიწყო და 1-ელ ივლისს დასრულდება.

### ხანძარი ქუთაისში

**ქუთაისის პოლიციის სამმართველოს ხანძარი გაუჩნდა.**

ცეცხლი სამმართველოს შენობას გუშინ გამთენიისას, დაახლოებით 04:00 საათზე გაუჩნდა. მსხვერპლი არ არის, თუმცა დამწვარია მნიშვნელოვანი დოკუმენტაციები და ნივთმტკიცებები.

წინასწარი ინფორმაციით, ხანძრის გაჩენა ძაბვის ვარდნამ გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ შენობაში პოლიციის 6 სამსახური იყო განთავსებული.

შემთხვევის ადგილზე სახანძრო სამსახურის 10 ეკიპაჟი მუშაობდა, თუმცა ცეცხლის დროულად ჩაქრობა ვერ მოხერხდა.

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**




სასტუმრო „ჟურნალისტი“
დასასვენებლად გიწვევთ წყნეთში!
მის: რუსთაველის ქ. 35
ტელ: 22-82-92; 22-15-83;
მობ: 899 77-28-54.


გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის ახალი მისამართია: გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიასძ ქ. №19.

## დაიჯესტი

### ასტროეგზოტიკა

**დაბადების თარიღით შეგიძლიათ გაიგოთ, პირამიდების ქვეყნის თუ რომელი ღმერთის ზეგავლენით ჩამოყალიბდა თქვენი ხასიათი.**

**იზიდა**

იგი მთავარი ქალღმერთია, ღმერთ ოსირისის თანამეცხედრე. იზიდა ახალშობილებს მფარველობს და ქალებს სიბრძნეს ანიჭებს.



**დაბადების პერიოდები:** 11-13 მარტი; 18-29 ოქტომბერი; 19-31 დეკემბერი.

**ხასიათი:** ოპტიმისტური, უშიშარი, ერთგვარად ქედმაღლური. ასეთ ადამიანთა საზოგადოებაში კაცი თავს ყოველთვის კარგად გრძნობს, რადგან ისინი მომხიბლაობას აფრქვევენ. ცხოვრებაში მათ მრავალი სასიამოვნო მოულოდნელობა ელით. ადამიანი-იზიდები სისხლსავსე სიცოცხლით ცხოვრობენ, ისინი გულუხვნი და გულკეთილნი არიან. ამ ნიშნით დაბადებული მოსიყვარულე ბუნების ხალხი ერთგულებით გამოირჩევა, რომელსაც საყვარელი ადამიანები ზეცაში აჰყავს. ამიტომაცაა, რომ მათ ორპირობა სძულთ, ღალატს კი არავის პატიობენ.

### რა გატირებს, ლუკა?



**ორი წლის ლუკას უახლოეს მეგობარს თიკუნი „სამსონი“ აქვს და იგი სამი მეტრის სიგრძის პიტონია. სამსონსა და კიდევ რამდენიმე ათეულ გველს ლუკა დაბადებიდანვე იცნობს, რადგან მის მშობლებს ინგლისში ყველაზე დიდი გველების კერძო „კოლექცია“ აქვთ.**

„ლუკას ყველაზე მეტად უყვარს სამსონთან ერთად ბანაობა და მასთან ჩახუტებულს ძილი, – ამბობს „პატარა მაუგლის“ დედა. – თუმცა ჩვეულებრივი კატების ლუკას ცეცხლივით ეშინია და რომელიმეს დანახვაზე მისი ტირილი ცას სწვდება“.

### ჟესტების მრავლისმეტყველი ენა

**„კაცი, რომელიც საუბრისას ხშირ-ხშირად ჩაახველებს ხოლმე, როგორც წესი, ცრუობს“, – ეს მხოლოდ ერთ-ერთი დაკვირვებაა იმათგან, რაზეც ლაპარაკი იყო ცოტა ხნის წინათ ჰოლანდიის უტრეხტში ჟესტების ისტორიისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმზე. მაგალითად, მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ოდითგანვე ყველაზე უკეთ სხვადასხვა ხალხს უხამსი ჟესტები შე-**





**მორჩა. და პირიქით, ხელის ჩამორთმევა შედარებით ახალი „შემოსულია“.**

ხშირად წვრილმანი დეტალები ეპოქის სულისკვეთების შესახებ გაცილებით უფრო მეტს მეტყველებდნენ, ვიდრე ვრცელი ისტორიული გამოკვლევები. მაგალითად, ძველ საბერძნეთში მამაკაცს თავაწეულს უნდა ევლო, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შეიძლება მამათმავალი ეგონებოდათ. თუმცა იმ დროს ქალებსა და ბავშვებს ეკრძალებოდათ თანამოსაუბრისთვის თვალის გასწორება. საღვთისოდ, თვალების დახრა – მორჩილებისა და მორიდებულობის სამყაროსავით ძველი ნიშანია. რაც შეეხება ხელის ჩამორთმევას, მიაჩნიათ, რომ ფრანგებმა ის ინგლისელი კვაკერებისგან XVII საუკუნეში გადაიღეს, რადგანაც მათ არ სურდათ ვინმეს წინაშე ქუდის მოხრა ანდა ქუდის მოხდა, რაც, მათი აზრით, მხოლოდ უფლის წინაშე უნდა გაეკეთებინათ.

**სურათებზე: საუდის არაბეთის მცხოვრებისთვის ჟესტი შეურაცხმყოფელია, ხოლო ფლორენტულისთვის ერთობ მაამებელი; პენჯაბის შტატში თითით გველის ენის გამოსახვა „შენ მატყუარა ხარ“-ს ნიშნავს.**

### თუკი კაცი ასაკოვანია



**ტაფტის უნივერსიტეტის სპეციალისტების აზრით, ხანდაზმულ ადამიანთა ორგანიზმებში „D“ ვიტამინის ნაკლებობა, რაც განსაკუთრებით ჩრდილოეთის ქვეყნების მოსახლეობაში შეიმჩნევა, შესაძლოა ფარული ეპიდემიის სახეს იღებს. ამ ასაკოვანი ჯგუფის ადამიანები ვიტამინს საკვებთან ერთად ნაკლები ოდენობით იღებენ, თანაც მზეშიც იშვიათად გამოდიან.**

„D“ ვიტამინის უკმარისობა კი ადამიანის ძვლების დარბილებას იწვევს, ხოლო ასაკის მატებასთან ერთად – ოსტეოქონდროზს. აშშ-სა და ინგლისში ჩატარებული დაკვირვებებით დადგინდა, რომ თეძოს მოტეხილობით პაციენტთა ორგანიზმს დაახლოებით 40 პროცენტს „D“ ვიტამინი აკლდა. ვიტამინის საკომპენსაციოდ, ხანდაზმულმა ადამიანებმა ყოველდღიურ კვების რაციონში აუცილებლად უნდა დაამატონ არანაკლებ სამი ჭიქა ნატურალური რძე ანდა ამ ვიტამინის შემცველი პრეპარატები.

**უცხოური პრესის მიხედვით**


რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.


## კადრი



## ანეკდოტები

– მიხო, ეს ხალხი რად გარბის ჩვენი მანქანის წინ?

– მაშ რა ქნან, შე ოხერო შენა, უკვე ნახევარი საათია, ტროტუარზე მიდიხარ.

* * *

– დღეს გოგო მესტუმრება, რით გავუმასპინძლდე, რომ მას ჩემთან ყოფნა მოეწონოს?

– მართლაც რამდენი პრობლემა მოაქვს იმპოტენციას.



* * *

ბავშვები მუდამ გაგვახსენებენ, როგორები ვიყავით, სანამ გავლოთდებოდით.

* * *

ქურდობა და მკვლელობა საშინელებაა, მაგრამ რამდენი პროკურორი და ადვოკატი იკვებება ამით!

* * *

– თქვენი საბუთები, სერ! – ეუბნება პატრული ავტომობილის მძღოლს.

– რად მიწოდებთ ქართველ კაცს სერს?

– იმად, რომ გზის მარცხენა ნაწილზე მოძრაობთ!


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434


რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.